

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 10 (309)
ოქტომბერი
2022

25 წელი უჩინარ...



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 10(309)

ოქტემბერი

2022

რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი საბა ძაძამია

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ნადეჟდა კვატაშიძე; დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე;
რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან

ინფორმაცია ბათის წესდებაში ცვლილებების გამოქვეყნებულ პროექტთან დაკავშირებით	3
შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რეგისტრაციის უძღვეს ბაზი ალგორითმი	
რეგრესია და კორელაცია. მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“	17
მიზანმიმართული ტესტირება – არსი და მეთოდოლოგია	
მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“	23
საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ტექნიკა	
მოდული „ფინანსური მართვა“	33
საბა ძაძამია	
ეკონომიკურ ანგარიშში ინფლაციისა და ვარდნის შიში აისახება	42
გაუმჯობესებების მიუხედავად, სკეფსისი და მიკერძოება კვლავ აუდიტის უმთავრეს პრობლემად რჩება	44

ოფიციალური მასალები	46
---------------------------	----

კითხვა-პასუხი	62
---------------------	----

ინფორმაცია პირუბიდან	67
----------------------------	----

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“: ა/ა GE40TB060000007467286 საიდენტიფიკაციო კოდი 203 855 220

ფასი 6 ლარი

დამკაბადონებელი: ნ. ყაველაშვილი
კორექტურა: თ. ცქიტიშვილი



ინფორმაცია ბაფის წესდებაში ცვლილებების გამოქვეყნებულ პროექტთან დაკავშირებით

ბაფის პატივცემულო წევრებო!

მიმდინარე წლის სექტემბერში განსახილველად გამოქვეყნებულ წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტში, წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს გამგეობამ შეიტანა ცვლილებები. საერთო კრებას პროექტი წარედგინება შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

გთავაზობთ გამოქვეყნებული ცვლილებების პროექტს და მასში შეტანილ ცვლილებებს:

1. წესდების ცვლილებების პროექტით გამგეობის წევრების არჩევის წესი, რომელიც განსახილველად იყო გამოქვეყნებული

მუხლი 9.6 – გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) არჩეული უნდა იყოს არაუმეტეს:

- 1 წევრისა აკადემიური სექტორიდან, რომელთანაც ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- 2 წევრისა ბიზნესში (გარდა აუდიტორისა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულისა) დასაქმებული ბუღალტრებიდან;
- 2 წევრისა ფედერაციის კორპორაციული წევრი დიდი ოთხეულიდან;
- 6 წევრისა კორპორაციული წევრი აუდიტორული ფირმებიდან (გარდა დიდი ოთხეულისა) ან/და ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორებიდან.

2. გამგეობის წევრების არჩევის წესი, განხილვის პერიოდში მიღებული მოსაზრებების გათვალისწინებით მიღებული ჩასწორებებით (გამგეობის სხდომის ოქმი # 8. 19.10.2022):

მუხლი 9.6 – გამგეობის წევრად (გარდა თავმჯდომარისა) არჩეული უნდა იყოს არაუმეტეს:

- 1 წევრისა აკადემიური სექტორიდან, რომელთანაც ფედერაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
დასაშვებია კანდიდატი ვერ აკმაყოფილებდეს წესდების 9.5. მუხლით დადგენილ წევრობის 2 წლიან მოთხოვნას, მაგრამ განაცხადის გაკეთების პერიოდისათვის უნდა იყოს ბაფის წევრი;

- 2 წევრისა ბიზნესში (გარდა აუდიტორისა/აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულისა) დასაქმებული ბუღალტრებიდან;
- 2 წევრისა ფედერაციის კორპორაციული წევრი დიდი ოთხეულიდან;
- **6 წევრისა აუდიტორული ფირმებიდან (გარდა დიდი ოთხეულისა) ან/და აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორებიდან.**

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24 დეკემბერს, შაბათს 12 საათზე მოწვეულია ბაფის საერთო (სარჩევნო) კრება.

კრების დელეგატების რეგისტრაცია მიმდინარეობს 2022 წლის 10 ოქტომბრიდან და დასრულდება 20 დეკემბერს.

გამგეობის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების განაცხადების მიღება და რეგისტრაცია შესაძლებელია მიმდინარე წლის 9 დეკემბრამდე.

რეგისტრაცია შესაძლებელია: ბაფის მეილზე (baf@baf.ge) წერილის გამოგზავნით, განაცხადის შემოტანით ბაფის კანცელარიაში.

საერთო კრებისა და არჩევნების დეტალებზე შეგიძლიათ დარეკოთ ბაფის კანცელარიაში: 235 01 57; 235 43 97 (შორენა გამიაშვილი).

ბაფის ადმინისტრაცია

შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თბილისი, 2022

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ ხელმძღვანელებს დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს – ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებასაგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება-სა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს – ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, **შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“** შეაფასოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“** აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობისა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ აუცილებლობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი

ლაშა ვეფხვაძე

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით

თბილისი საქართველო

28/07/2022

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	4	40,352	48,586
სხვა შემოსავლები	5	1,389	3,578
ცვლილებები მარაგის ნაშთში		–	(10,805)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(30,651)	(35,325)
სხვა ხარჯები	6	(3,679)	(5,419)
მოგება დაბეგვრამდე		7,411	615
საგადასახადო ხარჯი		–	–
წლიური მოგება		7,411	615
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა			
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(664)	(1,279)
დივიდენდები		–	–
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი წლის ბოლოს		6,747	(664)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1	1
სულ გრძელვადიანი აქტივები		1	1
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	8	4,959	4,959
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	5,832	620
სულ მიმდინარე აქტივები		10,791	5,579
სულ აქტივები		10,792	5,580
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება ზარალი		6,747	(664)
სულ საკუთარი კაპიტალი		8,747	1,336
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2,045	3,920
საგადასახადო ვალდებულებები		–	324
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,045	4,244
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,792	5,580

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	40,156	48,302
გადახდილი იჯარა	(1,950)	(2,250)
გაცემული ხელფასი	(25,628)	(33,802)
გადახდილი გადასახადები	(6,013)	(5,010)
მომწოდებელზე გადახდილი	(1,300)	(7,181)
ადმინისტრ. და სხვა ხარჯებზე გადახდები	(53)	(57)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5,212	2
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	–	–
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	–	–
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	5,212	2
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისათვის	620	618
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	5,832	620

1. ზოგადი ინფორმაცია

ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია თბილისი, ბანდუკელის ქ. #16, ხოლო ფაქტიური წერეთლის გამზირი #61. საწარმოს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს. საწარმოს დამფუძნებელია საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია(ბაფ), რომელიც ფლობს საწარმოს კაპიტალის 100%-ს .

საწარმოს მთავარი საქმიანობაა ყოველთვიური ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვა-გას“ გამოშვება, ჟურნალში რეკლამის განთავსება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა, საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგები

საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის /მომსახურების/ მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებული ღირებულების გადასახადს.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

საქონლის მიწოდების უდიდეს ნაწილს საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში. აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას, რათა განსაზღვროს ხომ არ არსებობს თანხის ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება გაუფასურების ბარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

3.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარი-

ლისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.6 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ბარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ბარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ბარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.7 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ბარალში.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი

აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივითა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ბარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ბარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ბარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული

საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაკები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის (ჟურნალის) რეალიზაციიდან	40,352	48,586
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	40,352	48,586

5. სხვა შემოსავლები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
არასაოპერაციო შემოსავალი (საგადასახადო შეღავათი)	1,389	3,578
სულ სხვა შემოსავალი	1,389	3,578

6. სხვა ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შექმნილი მომსახურების ხარჯი	3,153	1,977
ბეჭდვითი მომსახურების ხარჯი	–	3,120
სხვა საერთო ხარჯი	526	322
სულ სხვა ხარჯები	3,679	5,419

7. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატე- რიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება				
დეკემბერი 31, 2019	–	290	–	290
მატება	–	–	–	–
კლება	–	–	–	–
დეკემბერი 31, 2020	–	290	–	290
მატება	–	–	–	–
კლება	–	–	–	–
დეკემბერი 31, 2021	–	290	–	290
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
დეკემბერი 31, 2019	–	(289)	–	(289)
მიმდინარე წლის ცვეთა	–	–	–	–
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	–	–	–	–
დეკემბერი 31, 2020	–	(289)	–	(289)
მიმდინარე წლის ცვეთა	–	–	–	–
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	–	–	–	–
დეკემბერი 31, 2021	–	(289)	–	(289)
ნარჩენი ღირებულება				
დეკემბერი 31, 2019	–	1	–	1
დეკემბერი 31, 2020	–	1	–	1
დეკემბერი 31, 2021	–	1	–	1

8. მარაგი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია	4,959	4,959
სულ მარაგები	4,959	4,959

9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	–	–
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	5,832	620
სულ ფულადი სახსრები	5,832	620

10. საწესდებო კაპიტალი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საწარმოს პარტნიორების კაპიტალი წესდების მიხედვით	2,000	2,000
საწარმოს პარტნიორების ვალდებულება კაპიტალის შეცვლაზე	–	–
შეცვლადი კაპიტალის ოდენობა	2,000	2,000

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	–	150
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	–	–
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	–	150
წინასწარ მიღებული თანხები	2,045	2,241
დავალიანება საწარმოს პერს. ხელფასზე	–	1,528
ჯამი	2,045	3,920

12. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს

სათაო სამეურნეო ერთეულს – ბაფი

საბოლოო მაკონტროლებელი მხარე – ბაფი

პირები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოზე

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	8400	8400

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 2022 წლის 28 ივლისს.

რებრესია და კორელაცია

მოდული „მმართველობითი აღრიცხვა“

ორგანიზაციებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფაქტორს შორის ურთიერთკავშირის შეცნობა. მაგალითად, სასარგებლო იქნება სარეკლამო დანახარჯებსა და სარეკლამო კამპანიისთვის გაწეული დანახარჯების შედეგად მიღებულ გაყიდვებს შორის, ან წარმოების დონესა და მთლიან საწარმოო დანახარჯებს შორის ურთიერთკავშირების გამოკვლევა. ამ ურთიერთკავშირების შეცნობა და გააზრება ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, უკეთ განახორციელონ სამომავლო გაყიდვები, ან წინასწარ განსაზღვრონ მოსალოდნელი დანახარჯები. ეს იქნება ფასდაუდებელი ინფორმაცია ბიუჯეტის შედგენის ან პროგნოზირების პროცესისთვის.

ამ სტატიაში განვიხილავთ, როგორ შეიძლება ცვლადებს შორის არსებული ურთიერთკავშირების გაანალიზება „საუკეთესო დამთხვევის წრფის“ მეთოდისა და რეგრესიული ანალიზის მეთოდით და როგორ შეიძლება ამ ურთიერთკავშირების სიძლიერის გამოცა კორელაციის (წრფივი დამოკიდებულების ხარისხის) საფუძველზე.

ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი/დამოკიდებულება

ორ ცვლადს შორის ნებისმიერი ტიპის ურთიერთკავშირში არსებობს დამოუკიდებელი ცვლადი და დამოკიდებული ცვლადი. ამასთან, დამოკიდებული ცვლადის ცვლილების სიდიდე დამოკიდებულია დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილებების სიდიდეზე. მაგალითად; წარმოების პროცესის მთლიანი დანახარჯი დამოკიდებულია საქმიანობის დონეზე.


განვიხილოთ კომპანიის ბოლო ორი წლის შემდეგი მონაცემები:

	საქმიანობის დონე (1000 ერთეული)	მთლიანი საწარმოო დანახარჯი (\$000)
20X1 Q1	15	300
20X1 Q2	45	615
20X1 Q3	25	470
20X1 Q4	55	680
20X2 Q1	30	520
20X2 Q2	20	350
20X2 Q3	35	590
20X2 Q4	60	740


კომპანიას სურს საქმიანობის დონეებსა და მთლიან საწარმოო დანახარჯებს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევა, რათა შეძლოს წარმოების მთლიანი დანახარჯების პროგნოზირება მომავლისთვის.

საუკეთესო დამთხვევის წრფე

ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევისა და შეცნობის ერთ-ერთი მეთოდია საუკეთესო დამთხვევის წრფის მეთოდი. კომპანიის ყველა მონაცემი გამოისახება გრაფიკზე. საქმიანობის დონე არის დამოუკიდებელი ცვლადი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) და ნაჩვენებია x (ჰორიზონტალურ) ღერძზე. წარმოების მთლიანი დანახარჯი დამოკიდებული ცვლადია და ნაჩვენებია y (ვერტიკალური) ღერძზე.



ვინაიდან ყველა მონაცემი უკვე გადატანილია გრაფიკზე, ახლა შეგვიძლია საუკეთესო დამთხვევის წრფის აგება.



ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ბოგიერთი წერტილი წრფეზე მდებარეობს, ბოგიც წრფის ზემოთ ან ქვემოთ, მაგრამ წერტილების უმეტესობა ახლოს არის წრფესთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმიანობის დონესა და მთლიან საწარმოო დანახარჯს შორის გარკვეული ურთიერთკავშირი არსებობს.

ამ „საუკეთესო დამთხვევის წრფის“ გამოყენება შეიძლება იმის დასადგენად/პროგნოზირებისთვის, თუ რა მოხდება წარმოების სხვა დონეებზე. წარმოების ისეთი დონეებისთვის, რომლებიც წინა დონეების დიაპაზონის ფარგლებს გარეთ მოხვდება, შესაძლებელია „საუკეთესო დამთხვევის წრფის“ ექსტრაპოლაცია სხვა დონეების პროგნოზირებისთვის, გრაფიკიდან აღებული მნიშვნელობების მეშვეობით.

ეს ძალიან მარტივი მეთოდია, მაგრამ მას გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს. მთავარი

ის არის, რომ „საუკეთესო დამთხვევის წრფის“ შეფასება ხდება გრაფიკზე მონიშნული მონაცემების წერტილების მიხედვით და მონაცემთა ერთი და იმავე სიმრავლიდან შეიძლება სხვადასხვა წრფე მივიღოთ. ამ მეთოდის ნაკლოვანებების „გამოსწორება“ შესაძლებელია რეგრესიული ანალიზის მეთოდით.

რეგრესიული ანალიზი

რეგრესიულ ანალიზშიც წარსული პერიოდების მონაცემები გამოიყენება და ამ შემთხვევაშიც უნდა ვიპოვოთ საუკეთესო დამთხვევის წრფე, მაგრამ რეგრესიული ანალიზის მეთოდის დროს ეს სტატისტიკურად კეთდება, რის გამოც მიღებული საუკეთესო დამთხვევის წრფე უფრო საიმედოა.

ჩვენ ვივარაუდებთ, რომ ცვლადებს შორის წრფივი დამოკიდებულება არსებობს და ამიტომ დანახარჯების განტოლება იმავე ფორმულით გამოისახება, როგორც წრფივი ფუნქცია:

$$y = a + bx, \text{ სადაც}$$

a არის ფიქსირებული ელემენტი (ანუ წერტილი, სადაც $y = a + bx$ წრფე კვეთს y ღერძს) - (y -ის მნიშვნელობა, როდესაც $x = 0$);

b არის ცვლადი ელემენტი, $y = a + bx$ წრფის გრადიენტი, ანუ მისი დახრილობის საზომი (y -ის ცვლილება, როდესაც x იზრდება ერთი ერთეულით);

x = დამოუკიდებელი ცვლადი;

y = დამოკიდებული ცვლადი (მისი სიდიდე დამოკიდებულია x -ის სიდიდეზე).

$$a = \bar{y} - b\bar{x} \text{ სადაც } \bar{y} = \frac{\sum y}{n} \text{ და } \bar{x} = \frac{\sum x}{n} \text{ (} n \text{ არის შერჩევითი ერთობლიობის მოცულობა)}$$

$$b = \frac{n\sum xy - \sum x \sum y}{n\sum x^2 - (\sum x)^2}$$

a და **b** გამოითვლება შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

ამ გამოთვლების ჩატარების უმარტივესი გზა, პირველ რიგში, ცხრილის შექმნაა x , y , xy და x^2 სვეტებით.

(შენიშვნა: ცხრილი ასევე შეიცავს y^2 -ის სვეტს. ეს დაგვჭირდება შემდგომ გამოთვლაში).

	ერთეულები (ათასი) x	მთლიანი დანახარჯი (\$000) y	xy	x^2	y^2
20X1 Q1	15	300	4,500	225	90,000
20X1 Q2	45	615	27,675	2,025	378,225
20X1 Q3	25	470	11,750	625	220,900
20X1 Q4	55	680	37,400	3,025	462,400
20X2 Q1	30	520	15,600	900	270,400
20X2 Q2	20	350	7,000	400	122,500
20X2 Q3	35	590	20,650	1,225	348,100
20X2 Q4	60	740	44,400	3,600	547,600
სულ (Σ)	285	4,265	168,975	12,025	2,440,125

$$b = \frac{(8 \times 168,975) - (285 \times 4,265)}{(8 \times 12,025) - 285^2} = 9.1$$

$$a = \bar{y} - b\bar{x} \text{ სადაც } \bar{y} = \frac{\sum y}{n} \text{ და } \bar{x} = \frac{\sum x}{n}$$

$$\bar{y} = \frac{4,265}{8} = 533.13$$

$$\bar{x} = \frac{285}{8} = 35.63$$

$$a = 533.13 - (9.1 \times 35,63) = 208.90$$

ჩვენს მაგალითში რეგრესიული წრფის განტოლება ($y = a + bx$ ფორმის) გახდება:

$$y = 208.90 + 9.1x$$

ამ განტოლების მეშვეობით ადვილია მთლიანი დანახარჯების პროგნოზის გამოთვლა წარმოების სხვადასხვა დონისთვის, მაგალითად, როდესაც წარმოების დონე 80,000 ერთეულია, მთლიანი დანახარჯი იქნება:

$$208.90 + (9.1 \times 80) = 936.90, \text{ ანუ } \$936,900.$$

რამდენად სანდოა ეს შეფასება, დამოკიდებულია ორ ცვლადს შორის ურთიერთკავშირის/დამოკიდებულების სიძლიერეზე – რამდენად შეიძლება y -ის ცვლილება აიხსნას x -ის ცვლილებით, ანუ y -ის ცვლილების რა ნაწილია გამოწვეული x -ის ცვლილებით?

რაც უფრო ძლიერია ცვლადებს შორის კავშირი, მით უფრო სანდოა განტოლების მეშვეობით გამოთვლილი შედეგი, ანუ მით უკეთესი იქნება გამოთვლილი საპროგნოზო მაჩვენებლები.


ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის/დამოკიდებულების სიძლიერის საზომია კორელაცია.

კორელაცია


მიიჩნევა, რომ ორ ცვლადს შორის არსებობს კორელაციური ურთიერთკავშირი/დამოკიდებულება, თუ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია და ერთი მათგანის ცვლილებები იწვევს მეორის ცვლილებებს. კორელაცია შეიძლება იყოს დადებითი (როდესაც ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორის ზრდას) ან უარყოფითი (როდესაც ერთი ცვლადის ზრდა იწვევს მეორის შემცირებას).



გრაფიკი, რომელიც მოცემულია ზემოთ „საუკეთესო დამთხვევის წრფის“ ნაწილში, გვიჩვენებს ძლიერ დადებით კორელაციას. ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე გამოსახულია ზოგიერთი სხვა ტიპის კორელაციური ურთიერთკავშირები:

სრულყოფილი დადებითი




სრულყოფილი უარყოფითი





შესაძლებელია, რომ ცვლადებს შორის საერთოდ არ არსებობდეს კორელაცია. როგორც შემდეგი გრაფიკიდან ჩანს, ჰორიზონტალური წრფე მიუთითებს, რომ კორელაცია არ არსებობს:



როდესაც კომპანიას სურს წარსული პერიოდების მონაცემები მომავლის პროგნოზირებისთვის გამოიყენოს, უნდა გაითვალისწინოს, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება ცვლადებს შორის კორელაცია, მით უკეთესი/სანდო იქნება საპროგნოზო შეფასებები.

ცვლადებს შორის კორელაციის სიძლიერე შეიძლება გაიზომოს კორელაციის კოეფიციენტით, რომლის გამოთვლა შესაძლებელია შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$r = \frac{n\sum xy - \sum x \sum y}{\sqrt{(n\sum x^2 - (\sum x)^2)(n\sum y^2 - (\sum y)^2)}}$$

$r = +1$ გვიჩვენებს სრულყოფილ დადებით წრფივ კორელაციას;

$r = 0$ გვიჩვენებს, რომ კორელაცია არ არსებობს;

$r = -1$ გვიჩვენებს სრულყოფილ უარყოფით წრფივ კორელაციას.

კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები უნდა იყოს -1-სა და 1-ს შორის დიაპაზონში. რაც უფრო ახლოს არის კოეფიციენტის მნიშვნელობა 1-თან და -1-თან, მით უფრო ძლიერია კორელაცია.

გამოვიყენოთ წინა მაგალითი და გამოვთვალოთ r -ის მნიშვნელობა:

$$r = \frac{(8 \times 168,975) - (285 \times 4,265)}{\sqrt{(8 \times 12,025) - 285^2) \times (8 \times 2,440,125) - 4,265^2}}$$

$r = 0.965$, რაც იმას გვიჩვენებს, რომ ცვლადებს შორის არსებობს ძლიერი დადებითი კორელაცია. ახლა გამოსათვლელი გვაქვს დეტერმინაციის კოეფიციენტი, r^2 .

დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს, y -ის (დამოკიდებული ცვლადის) ცვლილებების რა ნაწილი (რამდენი %) შეიძლება „აიხსნას“ (გამოწვეული იყოს) x -ის (დამოუკიდებელი ცვლადის) ცვლილებებით, როდესაც ორ ცვლადს შორის არსებობს წრფივი დამოკიდებულება.

ამ მაგალითში, $r^2 = 0,931$, მაშასადამე, მთლიანი წარმოების დანახარჯის ცვლილებების 93,1% შეიძლება აიხსნას საქმიანობის დონეების ცვლილებებით. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ცვლილებების 6.9% სხვა ფაქტორებით უნდა იყოს გამოწვეული.

დასკვნა

გახსოვდეთ, რეგრესიის ანალიზისა და კორელაციის მეთოდების გამოყენების დროს, მომავლის პროგნოზების გამოსათვლელად სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ჩატარებულმა გამოთვლებმა შეიძლება მხოლოდ იმაზე მიგვანიშნოს, რომ ფაქტორებს შორის კავშირი არსებობს, მაგრამ ეს ურთიერთკავშირი გამოთვლებით ვერ დამტკიცდება. ცვლადების ცვლილებები შესაძლებელია სხვა ფაქტორებითაც იყოს გამოწვეული, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული არ იყოს.

გარდა ამისა, დინამიკური მწკრივების ანალიზის მსგავსად, რომელსაც სხვა სტატიაში განვიხილავთ, რეგრესიულ ანალიზშიც წარსულის დაკვირვებები გამოიყენება, რათა წინასწარ განვსაზღვროთ, რა მოხდება მომავალში. დაშვება იმისა, რომ ის, რაც წარსულში მოხდა, კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ რა მოხდება მომავალში, გამართებული ვარაუდია. ეს არის ამ მეთოდების მნიშვნელოვანი ნაკლოვანება.

რეალურ სამყაროში, გარემოს ცვლილებებმა (ტექნოლოგიური, სოციალური, ეკოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.) შესაძლოა განუსაზღვრელობა შექმნას ბიზნესგარემოში და, ამის გამო, წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით გამოთვლილი პროგნოზები შესაძლოა სავსებით არარეალისტურიც კი აღმოჩნდეს.

*სტატია მოამზადა მმართველობითი აღრიცხვის მოდულის
საგამოცდო კომისიის წევრმა*

მიზანმიმართული ტესტირება – არსი და მეთოდოლოგია

მოდული „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“

მიზანმიმართული ანუ „პირდაპირი/ერთი მიმართულებით“ ტესტირება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ მიდგომას აუდიტორები ნებისმიერ აუდიტში იყენებენ. სტატიის გაცნობისას თავადაც დარწმუნდებით, რომ ეს ინსტრუმენტი ეფექტიანი აუდიტის ჩატარების აუცილებელი და ერთ-ერთი მეთად საჭირო მექანიზმია. კანდიდატებს უნდა შეეძლოთ:

- მიზანმიმართული ტესტირების, როგორც აუდიტის მეთოდოლოგიის განმარტება;
- იმის ახსნა, როგორ გამოიყენება აღნიშნული მიდგომა უზუსტობების გამოსავლენად და გენერალური ერთობლიობის განსასაზღვრად, საიდანაც აუდიტორებმა უნდა შეადგინონ შერჩევითი ერთობლიობა;
- მიზანმიმართული ტესტების გამოყენება სხვადასხვა საოპერაციო ციკლში;
- მსჯელობა აღნიშნული მიდგომის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

ამ სტატიის წერისას ჩვენ მიზნად დავისახეთ, კანდიდატებისთვის:

- აგვეხსნა და მაგალითების მეშვეობით გვეჩვენებინა, როგორ გამოიყენება პრაქტიკაში მიზანმიმართული ტესტირების მეთოდოლოგია;
- აგვეხსნა, რა გავლენას ახდენს მიზანმიმართული ტესტები არსებითობის დონის დადგენასა და შერჩევითი ერთობლიობის შერჩევაზე/შედგენაზე; და ასევე
- გვეჩვენებინა, როგორ არის დაკავშირებული აღნიშნული მიდგომა აუდიტის „ციკლურ მიდგომასთან“.

მიზანმიმართული ტესტები, როგორც აუდიტორული შემოწმების მიდგომა, სხვასთან ერთად, აადვილებს აუდიტის პროცედურების განსაზღვრას და ჩატარებას. მაშასადამე, ეს სტატია გამოადგება ყველა კანდიდატს, ვისაც სურს მიზანმიმართული ტესტირების ტექნიკის არსის და მისი პრაქტიკული ასპექტების საფუძვლიანად შესწავლა:

მაგალითად:

„განსაზღვრეთ ხუთი ძირითადი პროცედურა, რომელსაც ჩაატარებდით სავაჭრო ვალდებულებების ციფრების შესამოწმებლად (არსებითი უზუსტობის გამოსავლენად);“ ან „ჩამოთვალეთ პროცედურები, რომელსაც ჩაატარებთ ცვლის ნორმების/განაკვეთების მართებულობის შესამოწმებლად“.

ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემა ხშირად უჭირთ კანდიდატებს, რადგან:

- როგორც ჩანს, კანდიდატებს კარგად არ ესმით ცნების „პროცედურის“ შინაარსი (მაგ., იმეორებენ დაბეპირებულ ტესტებს, ან, სხვა მხრივ, არასათანადოდ აღწერენ აუდიტორის სამუშაოს);
- არ შესწევთ უნარი, სახელმძღვანელოდან ნასწავლი ზოგადი თეორიული ცოდნა გამოიყენონ კონკრეტული ოპერაციებისა და ნაშთების მიმართ;
- პასუხში იმეორებენ ერთსა და იმავე მოსაზრებებს.

მიაქციეთ ყურადღება: „პროცედურა“ აუდიტის კონტექსტში აღნიშნავს „გზას, რომლის მეშვეობითაც ესა თუ ის სამუშაო სრულდება აუდიტორული შემოწმების პროცესში“. თუ პასუხში უბრალოდ იმას მიუთითებთ, რომ აუდიტორი „ამოწმებს“, „ადასტურებს“, „ასაბუთებს“ და ა.შ. „რალაცას“, ეს არ არის პროცედურა. ასეთი პასუხი არაფერს გვე-

უბნება იმის თაობაზე, კონკრეტულად რა სამუშაოს ასრულებს აუდიტორი ფინანსური ანგარიშგების კონკრეტულ მუხლებთან მიმართებით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, პროცედურა, თავისი არსით, უნდა გვიჩვენებდეს გზას, მეთოდს, ხერხს, თუ „როგორ ამოწმებს“, „როგორ ადასტურებს“, „როგორ ასაბუთებს“ და ა.შ. აუდიტორი. მაშასადამე, გამოდის, რომ თქვენ ვერ უპასუხეთ საგამოცდო კითხვის მოთხოვნას და, ცხადია, ასეთ პასუხში ვერანაირ ქულას ვერ მიიღებთ, საგამოცდო დროს ტყუილად გაფლანგავთ. გარდა ამისა, პროცედურა, როგორც ასეთი, ასევე შეიძლება აღნიშნავდეს იმ მოქმედებების ერთობლიობას, რომლებიც სრულდება გარკვეული თანამიმდევრობით ან წესის მიხედვით. ამიტომ პასუხი ლოგიკურად უნდა ჩამოაყალიბოთ, ისე, რომ მას გარკვეული „მიმართულება“, ნაცვლად იმისა, რომ საგამოცდო კითხვის პასუხში ბრმად გაიმეოროთ სახელმძღვანელოდან ნასწავლი ან დაბეპირებული საკითხები/ტესტები.

ამგვარად, მიზანმიმართული ტესტების ჩატარების ტექნიკის ცოდნა სასარგებლოა, რადგან:

- ნათლად გვიჩვენებს აუდიტის მიზნებს;
- აუდიტორული შემოწმების სამუშაოს მიმართავს რისკიან სფეროებზე; და
- ტესტების შედეგებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ვინაიდან ამ სტატიაში მიზნად ვისახავთ მიზანმიმართული ტესტირების მეთოდის ახსნას, გვსურს ამავე დროს:

- გავაღრმაოთ თქვენი ცოდნა ორადი საბუღალტრო გატარებების სფეროში;
- ავხსნათ, რატომ ტარდება ტესტები გარკვეული თანამიმდევრობით და წესების დაცვით;
- მაგალითების მეშვეობით გაჩვენოთ, როგორ უნდა აღწეროთ პროცედურები და შეიქმნათ საფუძველი სტრუქტურულად ფორმულირებული პასუხების გასაცემად და, შესაბამისად, მაქსიმალური ქულების მისაღებად.

„პირდაპირი ტესტირება“, როგორც აუდიტორული შემოწმების მეთოდის, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დამუშავდა. მართალია, დღეს ეს მეთოდის, როგორც მთლიანი აუდიტორული შემოწმების მიდგომა, ფართოდ აღარ გამოიყენება პრაქტიკაში (მას შემდეგ, რაც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სავალდებულო გახდა რისკზე დაფუძნებული აუდიტორული შემოწმების მიდგომის გამოყენება) ძალიან იშვიათი გამოწვევის შემთხვევების გარდა (მაგ., ძალიან მცირე სიდიდის საწარმოებში, სადაც შიდა კონტროლზე დაყრდნობა შეუძლებელია), მაგრამ ეს მეთოდის, თავისთავად, მაინც განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგან:

- კარგად წარმოაჩენს „აუდიტორული შემოწმების“ მეთოდის (ე.ი. აუდიტის თეორიას, მეცნიერებას);
- კონცეპტუალური თვალსაზრისით, აუდიტორული შემოწმების პირდაპირი მიდგომაა (რადგან ეყრდნობა ორადი აღრიცხვის პრინციპებს); და
- ამავე დროს შესაბამისობაშია აუდიტორული შემოწმების თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკასთან (რისკზე დაფუძნებულ აუდიტის მიდგომასთან).

შენიშვნა: პირდაპირი შემოწმების მიდგომა (მიზანმიმართული ტესტები) არ გამოიყენება, როგორც მთლიანი აუდიტორული შემოწმების მიდგომა, მაგრამ გამოიყენება რისკზე დაფუძნებული აუდიტის მიდგომის ფარგლებში, ანუ კონტროლის ტესტებთან ერთად.

პირდაპირი ტესტირების კონცეფციის არსი

ბუღალტრული აღრიცხვის უპირველესი საბაზისო პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ სადებეტო გატარებას აქვს შესაბამისი საკრედიტო გატარება. მაშასადამე, თუ საცდელი ბალანსი დაბალანსებულია, მაგრამ რომელიმე სადებეტო ან საკრედიტო გატარება არასწორია, აქედან ავტომატურად გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ უნდა არსებობდეს მეორე შეცდომაც, რომელიც პირველს აბალანსებს (იხ. საილუსტრაციო მაგალითი 1).

საილუსტრაციო მაგალითი 1

თუ სავაჭრო მოთხოვნა გადიდებულია \$1,900-ით, მაშინ ან:

- სხვა აქტივი იქნება შემცირებული \$1,900-ით (მაგ., თუ კომპანიაში მიღებული ფულადი სახსრები არ არის აღრიცხული); ან
- ვალდებულებები იქნება გადიდებული \$1,900-ით (მაგ., თუ კომპანიას აღებული აქვს ბანკის ოვერდრაფტი და ფულადი სახსრები არ არის აღრიცხული); ან
- შემოსავალი (მაგ., რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები) იქნება გადიდებული \$1,900-ით (მაგ., თუ არასწორად ჩატარდა „დროში გამიჯვნის“ პროცედურა, ან დამუშავდა დაუმტკიცებელი ანგარიშ-ფაქტურები); ან
- დანახარჯები იქნება შემცირებული \$1,900-ით (მაგ., გაცემული ფასდათმობები); ან
- რაიმე შეცდომების კომბინაცია ერთობლივად შეადგენს \$1,900-ს.

თუ აუდიტორი სადებეტო გატარებების (თანხების) გადიდების შესამოწმებლად ატარებს ტესტებს, (პირდაპირი ტესტები), გამოდის, რომ არაპირდაპირ ჩატარდება შესაბამისი საკრედიტო გატარებების გადიდების ტესტირებაც. ანალოგიურად, თუ აუდიტორი საკრედიტო გატარებების (თანხების) შემცირების შესამოწმებლად ატარებს ტესტებს (პირდაპირი ტესტები), გამოდის, რომ არაპირდაპირ ჩატარდება შესაბამისი სადებეტო გატარებების შემცირების ტესტირებაც.

ამგვარად, თუ აუდიტორი ჩაატარებს:

- მოცემული წლის ყველა აქტივის ნაშთისა და ხარჯების (ე.ი. დებეტში ასახული თანხების) ტესტებს პირდაპირ, მათი გადიდების გამოსავლენად; და
- მოცემული წლის ყველა საკრედიტო ნაშთისა და შემოსავლის ტესტებს პირდაპირ, მათი შემცირების გამოსავლენად;

მაშინ, გამოდის, რომ არაპირდაპირ მოხდება საპირისპირო მიმართულებებში არსებული უზუსტობების ტესტირებაც.

პირდაპირ და არაპირდაპირ ტესტებს ზოგჯერ ძირითად (პირველად) და მეორად (საპირისპირო) ტესტებად უწოდებენ. ამ საკითხის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ცხრილი 1.

ცხრილი 1

ანგარიშის ტიპი	ძირითადი ტესტი	თანმდევრი საპირისპირო ტესტები			
		აქტივი	ვალდებულება	შემოსავალი	ხარჯი
აქტივი	გადიდება	შემცირება	გადიდება	გადიდება	შემცირება
ვალდებულება	შემცირება	შემცირება	გადიდება	გადიდება	შემცირება
შემოსავალი	შემცირება	შემცირება	გადიდება	გადიდება	შემცირება
ხარჯი	გადიდება	შემცირება	გადიდება	გადიდება	შემცირება

მნიშვნელოვანია კარგად გაიცნობიეროთ, რომ სიმარტივისთვის, ჩვენი სტატია ეხება პირდაპირ ტესტირებას, როგორც მეთოდის ანუ სტრატეგიას, რომელიც მთელი აუდიტის ჩასატარებლად გამოიყენება, ამიტომ. ცხადია, არ განვიხილათ კონტროლის ტესტებს და მთლიანად რისკზე დაფუძნებული აუდიტის მიდგომას.

სავარჯიშო 1 (ამოხსნა იხილეთ სტატიის ბოლოს)

სად შეიძლება იყოს სავარაუდოდ უზუსტობები, თუ სარემონტო და ტექნომასხურების დანახარჯების ნაშთი გადიდებულია \$13,000-ით?

ძირითადი ტესტები

პირდაპირი ტესტირების მიდგომის მეშვეობით შესაძლებელია, რომ ჩავატაროთ:

- სადებეტო თანხების გადიდების ტესტირება და იმავდროულად შესაბამისი საკრედიტო თანხების შემცირების ტესტირება; ან
- სადებეტო თანხების შემცირების ტესტირება და იმავდროულად შესაბამისი საკრედიტო თანხების გადიდების ტესტირება.

თუმცა, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენება კონკრეტული მიზნებისთვის და კონკრეტულ გარემოებებში არის შესაძლებელი:

- ამ მიდგომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი ტიპური შეცდომის (უზუსტობის) გამოსავლენად, რომლებიც არსებობს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებში, მაგალითად:
 - ვალდებულებების შემცირება (მაგ., როდესაც ვალდებულებები გამორჩენილია არაღამაკმა-ყოფილებელი კონტროლის ან ზედამხედველობის გამო, ან წინასწარ განზრახვით – თაღლითობა);
 - როდესაც გადიდებულია აქტივების შეფასება (მაგ., იმის გამო, რომ აღიარებული არ არის გაუფასურება, ან მოთხოვნების შემთხვევაში – ჩამოწერილი არ არის უიმედო ვალები);
- იგი გვეხმარება უკანონო ქმედებების გამოვლენაში. კერძოდ, აქტივების უკანონო მითვისებას ხშირად მოჰყვება აქტივის შეფასების ან ხარჯების გადიდება, ჩადენილი თაღლითობის მისაჩქმალად. მაგალითად, მატერიალური აქტივის მოპარვა (მაგ., ფულის ან მარაგის), რომელიც აღრიცხული იყო, შეიძლება „დაიმალოს“ მათი ჩამოწერით (ე.ი. კრედიტი – აქტივი, დებეტი – ხარჯები);
- გაცილებით ძნელია შემოსავლის გადიდების (შეცდომით ან უკანონო ქმედებით) დაფარვა, რადგან ის არაპირდაპირ მაინც გამოვლინდება, თუ არსებითია. მაგალითად, თუ ამონაგები გადიდებულია ფიქტიური რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურების გატარებით, დებეტი (მაგ., ფულადი სახსრები, ან მოთხოვნები) გადიდებული უნდა იყოს (რისთვისაც ჩატარდება პირდაპირი ტესტირება).

მუხლების გადიდების ძირითადი ტესტების ჩატარება იწყება „საბოლოო შედეგიდან“, ე.ი. იმ ფულადი თანხიდან, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არის ასახული. ტესტირების მიმართულება იქნება „წყაროსკენ“ უკან დაბრუნება. ამგვარი ტესტებით შესაძლებელია დამტკიცდეს:

- აღრიცხული ოპერაციების წარმოშობა და შეფასება; და
- აქტივების არსებობა, შეფასება და უფლებები;

მუხლების შემცირების პირველადი ტესტები იწყება წყაროდან (რაც შეიძლება არაფულადი იყოს და ჯერ არ იყოს ბუღალტრულად ასახული, მაგალითად, საქონლის გასავლის ზედდებულები) და ოპერაციებზე თვალყურის მიდევნება/„კვალზე აყოლა“ მთელი სისტემის მეშვეობით ხდება „წინსვლით“, ანუ ქვემოდან ზემოთ, ოპერაციების დამუშავების

მიმართულებით, ფინანსურ ანგარიშგებად. ამგვარი ტესტები გამიზნულია აღრიცხული ოპერაციებისა და ნაშთების სისრულისა (და შეფასების) დასამტკიცებლად.

არ დაგაბნოთ ტესტის სახელწოდებამ

სამწუხაროა, რომ ცნება „მიზანმიმართული“ ტესტირება კანდიდატებს ხშირად არასწორად ესმით, რადგან აუდიტის ტესტების უმეტესობას (როგორც კონტროლის ტესტებს, ისე ძირითად ტესტებს) აუცილებლად აქვს გარკვეული „მიმართულება“ (რაც განისაზღვრება ტესტის მიზნიდან გამომდინარე). მართო გარკვეული ოპერაციებისა და ნაშთების სისრულისა და არსებობის ტესტირება, ფინანსური ანგარიშგების სხვა მტკიცებების განხილვის გარეშე (მაგ., წარმოშობა, შეფასება, გაბოშვა, უფლებები და ვალდებულებები) არ წარმოადგენს „მიზანმიმართულ ტესტირებას“, როგორც აუდიტორული შემოწმების „მეთოდოლოგიას“ ანუ სტრატეგიას.

მუხლების გადიდების ტესტირება

განვიხილოთ სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები).

აუდიტის მიზანია: „აუდიტორი დარწმუნდეს, რომ სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი გადიდებული არ არის“. მომხმარებლებიდან (კლიენტებიდან) მისაღები თანხები გადიდებული იქნება, თუ, მაგალითად:

- მიღებული ფულადი სახსრები არ გატარდება შესაბამისი მომხმარებლის ანგარიშში;
- რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურაში ნაჩვენები ფასი გადიდებულია, ან ორჯერ გატარდება, ან ფიქტიური ანგარიშ-ფაქტურა გატარდება;
- მომწოდებლებიდან უკან დაბრუნებული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურა არ შეიქმნება და, შესაბამისად, არც გატარდება; ან
- უიმედო ვალებისთვის არასაკმარისი ანარიცხები შეიქმნება.

ამგვარად, ძირითადი პროცედურები მიმართული იქნება იმის დადგენაზე, რომ ამგვარი შეცდომები არ არსებობს (იხ. სქემა 1). მაშასადამე, მომხმარებლების შერჩევითი ერთობლიობის მიხედვით, რომელიც შედგენილია მოთხოვნების წიგნიდან, აუდიტორი მომხმარებლებს სთხოვს თავიანთი დავალიანების ნაშთების დადასტურებას (და გამოიკვლევს ყველა განსხვავებას). უპასუხოდ დარჩენილი დასტურის მოთხოვნებისთვის ნაშთის შემადგენელი ელემენტები შემოწმდება შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებთან, საქონლის გასაწვლის ბედდებულებთან ან/და მომხმარებლების შეკვეთებთან შედარების გზით. საანგარიშგებო თარიღის შემდგომ პერიოდში მიღებული ფულადი სახსრები შეუდარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ დავალიანების თანხებს, მათი ამოღების შესაძლებლობის დასადგენად და შესამოწმებლად.

გახსოვდეთ: მოთხოვნების წიგნიდან ამოკრეფილი ნაშთების ჯამი უნდა ემთხვეოდეს (საჭიროების შემთხვევაში, შეჯერების შემდეგ) მთავარი წიგნის მოთხოვნების მაკონტროლებელი ანგარიშის ნაშთს.

ორი ტესტი ნაშთების შემცირების დასადგენად

განვიხილოთ რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და აუდიტის მიზანი:

„უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამონაგები შემცირებული არ არის“.

ამონაგები შეიძლება შემცირებული იყოს, თუ, მაგალითად:

- საქონელი გაიგზავნა, მაგრამ ანგარიშ-ფაქტურა არ გამოიწერა;
- ბუღალტრულად არ აისახა ნაღდი ანგარიშსწორებით შესრულებული რეალიზაცია;
- რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურაში ფასია შემცირებული, ან არასწორად არის დაანგარიშებული თანხები; ან

- გამოწერილი რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურები ბუღალტრულად არ აისახა, მაგ., რეალიზაციის ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალში.

თუ აუდიტს დავიწყებთ საქონლის გასავლის ზედდებულებიდან, როგორც რეალიზაციის წყაროდან, უნდა დავრწმუნდეთ (კონტროლის ტესტების მეშვეობით), რომ საქონლის გაგზავნა შეუძლებელია სათანადო დოკუმენტის გარეშე (როგორცაა მაგალითად, რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურა, ან საქონლის გასავლის ზედდებული). ეს არის იმ გენერალური ერთობლიობის სისრულის დადგენა, საიდანაც შეიძლება დოკუმენტების შერჩევითი ერთობლიობის შერჩევა, დოკუმენტბრუნვის გამოსაკვლევად ბუღალტრული აღრიცხვის მთელი სისტემის მეშვეობით. ანალოგიურად, ტესტირების დაწყება შესაძლებელია მომხმარებლების შეკვეთებიდანაც (იხ. სქემა 1).

განვიხილოთ **ვალდებულებები და აუდიტის მიზანი:**

„უნდა დავრწმუნდეთ, რომ სავაჭრო ვალდებულებები შემცირებული არ არის“.

ტესტირების დაწყება წყაროდან (ე.ი. იქიდან, რაც წარმოშობს ვალდებულებას) იმას ნიშნავს, რომ შემოწმება უნდა დავიწყოთ საქონლის შემოსავლის ზედდებულებიდან. თუმცა, თუ ეს ოპერაცია დოკუმენტირებული არ არის (მაგ., საქონლის შემოსავლის ზედდებულები), მაშინ შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურებმა შეიძლება მოგვცეს ყველაზე სრული გენერალური ერთობლიობა, საიდანაც შესყიდვების ოპერაციების ტესტირებას შევძლებთ. როდესაც შერჩევითი ერთობლიობა შერჩეულია საბუღალტრო გატარების „მეორე მხრიდან“ (მაგ., ამ შემთხვევაში, შესყიდვები არის დებეტი, მაგრამ ტესტირება ეხება სავაჭრო ვალდებულებების შემცირებას), ამგვარ ერთობლიობას უწოდებენ „საპირისპირო“ ერთობლიობას.

გახსოვდეთ: უფრო მოსალოდნელია, რომ არსებითად შემცირებული იქნება ყველაზე მსხვილი მომწოდებლების სავაჭრო ვალდებულება, რაც გამოვლინდება შესყიდვების ნაშთების გადიდების ტესტირებიდან.

სავარჯიშო 2 (პასუხი მოცემულია სტატიის ბოლოს)

ჩამოაყალიბეთ აუდიტის ტესტები ქარხნის ხელფასებისთვის.

შენიშვნა მარაგების შესახებ

ვინაიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მარაგის ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაშიც ჩანს და მოგებისა და ბარალის ანგარიშგებაშიც, მისი ტესტირება ყოველთვის ტარდება გადიდებაზეც და შემცირებაზეც. მაგალითად: მარაგის ინვენტარიზაციის პროცესზე დასწრებისას მუხლები დასათვლელად შეირჩევა ფიზიკურად არსებული მარაგიდან და შემოწმდება მათი სააღრიცხვო დოკუმენტაცია და პირიქით – ტესტირებისთვის შეირჩევა ბუღალტრულად ასახული მარაგის ელემენტები და მათი ფაქტობრივი რაოდენობა და შემოწმდება მათი ფიზიკური არსებობა.

არსებითობის როლი


მარტივად თუ ვიტყვით, არსებითობა არის შეცდომის/უზუსტობის ზღვარი, რომლისთვისაც აუდიტორი დამკვეთს სთხოვს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირობითი მოსაზრება აუდიტორის დასკვნაში. მთლიანი ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში, არსებითობა ეყრდნობა ფინანსური ანგარიშგების იმ ელემენტების აუდიტორისეულ შეფასებას, რომლებსაც აუდიტორი, მომხმარებლის თვალთახედვიდან, „ძირითად ელემენტებად“ მიიჩნევს (მაგ., მოგება დაბეგვრამდე, ბრუნვა, მთლიანი აქტივები, წმინდა მოკლევადიანი აქტივები და ა.შ.)

ისევ განვიხილოთ სავაჭრო მოთხოვნები და რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები.

დავუშვათ, ამონაგებისთვის \$100,000 მიიჩნევა არსებითად, მაგრამ მხოლოდ \$50,000 – სავაჭრო მოთხოვნებისთვის. თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ მოთხოვნების ნაშთი არ

არის არსებითად გადიდებული (\$50,000-ით), მაშინ, აქედან გამომდინარეობს, რომ, როგორც შედეგი, რეალიზაციას არ არის არსებითად გადიდებული (\$50,000-ით). თუმცა, თუ აუდიტორი დაასკვნის, რომ რეალიზაცია არ არის შემცირებული არსებითად (\$100,000-ით), ამით ისიც მტკიცდება, რომ მოთხოვნები არ არის შემცირებული, მაგრამ აქ ზღვრული თანხა იქნება \$100,000. ამგვარად, დასკვნა ასეთია: მართალია, ამონაგები არ არის არსებითად მცდარი, მაგრამ მოთხოვნები შეიძლება არსებითად შემცირებული იყოს (\$50,000-დან \$100,000-მდე თანხით).

სქემა 1



არსებობს სხვადასხვა საშუალება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მიზანმიმართული ტესტირების ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარება (მაგ., დამატებითი „შემაჯავებელი“ ტესტების ჩატარებით). ზემოთ განხილულ მაგალითში, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების წინ შესრულებული რეალიზაციის ოპერაციების ტესტირება მოგვცემს დამატებით მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ ადგილი არ ჰქონია მოთხოვნების შემცირებას წლის ბოლოს.

მეორე მხრივ, როდესაც ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ელემენტებისთვის არსებითობის განსხვავებულ დონეებს დაადგენს აუდიტორი, მიზანმიმართული ტესტირების არსებითობის დონე უნდა იყოს ამ დონეებს შორის უმცირესი (ზოგჯერ არსებითობის ამ დონეს აუდიტის „ღირებულებით ცდომილებას უწოდებენ“). თუმცა, ამგვარმა მიდგომამ, გარკვეულ სიტუაციებში, შეიძლება ზედმეტი აუდიტორული სამუშაოების (ანუ არაეფექტიანი აუდიტის) ჩატარება გამოიწვიოს (მაგ., ისეთი შერჩევითი ერთობლიობის ტესტირება, რომლის მოცულობა აუცილებელზე უფრო დიდია).

მიზანმიმართული ტესტირების ურთიერთკავშირი აუდიტორული შემოწმების „ციკლურ მიდგომასთან“

როგორც ვიცით, კომერციული ორგანიზაციების ოპერაციები შეიძლება კატეგორიულად დაიყოს „ციკლების“ მიხედვით, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშების ანგარიშებსა და მასთან დაკავშირებულ მოგებისა და ბარალის ანგარიშების მუხლებს. მაგალითად:

- სავაჭრო მოთხოვნები, რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები და მიღებული ფულადი სახსრები წარმოქმნის „ამონაგების ციკლს“; და
- სავაჭრო ვალდებულებები, შესყიდვები და ფულადი სახსრების გადახდა წარმოქმნის „შესყიდვების ციკლს“.

მიზანმიმართული ტესტირების გამოყენებას ამა თუ იმ ციკლის ფარგლებში (მაგ., მოთხოვნების ტესტირება გადიდებაზე და ვალდებულებების – შემცირებაზე) ორი დიდი უპირატესობა ახასიათებს. პირველი, იგი გვიჩვენებს ძირითადი და მისი „თანმდევი“ საპირისპირო ტესტების ურთიერთშემავსებელ ბუნებას. მეორე, იგი აადვილებს არსებითობის სხვადასხვა დონის ღირებულებითი ცდომილების გამოყენებას თითოეული ციკლის ფარგლებში და, მაშასადამე, აღიარებს აუდიტის თითოეული სფეროსთვის დამახასიათებელი რისკის დონეს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების ტესტირება ორივე მიმართულებით

აუდიტის ბოგიერთი დამკვეთისთვის შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ორი ღირებულებითი ცდომილების დადგენა: ერთი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებისთვის და მეორე – მოგებისა და ბარალის ანგარიშგების მუხლებისთვის. მიზანმიმართული ტესტირების არსის შესანარჩუნებლად, ტესტირების მიდგომა უნდა შეიცვალოს: ორივე მიმართულებით უნდა ჩატარდეს ან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ან მოგებისა და ბარალის ანგარიშგების მუხლების ტესტირება.

თუ ღირებულებითი ცდომილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლებისთვის ნაკლებია მოგებისა და ბარალის ანგარიშგების მუხლებისთვის დადგენილ ცდომილებასთან შედარებით, შემოსავლებისა და ხარჯების პირდაპირი ტესტირებით იმავდროულად ჩატარდება აქტივებისა და ვალდებულებების საპირისპირო „თანმდევი“ ტესტები, რაც არ იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლების შესახებ გამოტანილი დასკვნების ადეკვატური (იხ. ზემოთ ჩვენს მიერ განხილული არგუმენტები რეალიზაციასა და მოთხოვნებთან მიმართებით.). ამასთან, თუ აქტივებსა და ვალდებულებებზე პირდაპირ ტესტებს ორივე მიმართულებით ჩავატარებთ, შეიძლება სრულყოფილად მოვიცვათ აუდიტის მიზნები (იხ. ცხრილი 2).

ვალდებულებების ტესტირება გადიდებაზე მართვია, რადგან მომწოდებლების ანგარიშების შერჩევა შესაძლებელია დავალიანების მქონე მომწოდებლების ანგარიშების სიიდან და მათი დამტკიცება პირველადი წყაროებით, როგორიცაა ანგარიშ-ფაქტურები, საქონლის შემოსავლის ზედდებულებები და ა.შ. აქტივების შემცირების ტესტირებისთვის უნდა გავანალიზოთ, როგორ შეიძლება წარმოშობილიყო აქტივების შემცირება. მაგალითად, სავაჭრო მოთხოვნები შემცირებული იქნება, თუ ანგარიშების კრედიტის მხარეს ასახული თანხები კომპანიას არ მიუღია, ან თუ არასწორად გამოიწერა მომხმარებლებისგან უკან დაბრუნებული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურა. მაშასადამე, აქტივების ანგარიშებში იქნება ისეთი საკრედიტო გატარებები, რომლის სანქციონირების ტესტირებაც არ მოხდება.

ცხრილი 2

ანგარიშის ტიპი	ძირითადი ტესტი	თანმდევი საპირისპირო ტესტები			
		აქტივი	ვალდებულება	შემოსავალი	ხარჯი
აქტივი	გადიდება	შემცირება	გადიდება	გადიდება	შემცირება
ვალდებულება	შემცირება	გადიდება	შემცირება	შემცირება	გადიდება
შემოსავალი	შემცირება	შემცირება	გადიდება	გადიდება	შემცირება
ხარჯი	გადიდება	გადიდება	შემცირება	შემცირება	გადიდება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლების ტესტირება ორივე მიმართულებით

იმავე არგუმენტის თანახმად, თუ მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლებისთვის დადგენილი ღირებულებითი ცდომილება ნაკლებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის დადგენილ ცდომილების დონესთან შედარებით, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლებზე პირდაპირი ტესტების ორივე მიმართულებით ჩატარებით სრულყოფილად მოვიცავთ აუდიტის მიზნებს.

შემოსავლის გადიდების ტესტირებისთვის საჭიროა, რომ ჩატარდეს აღრიცხული რეალიზაციის ოპერაციების სანქციონირების ტესტირება. ხარჯების შემცირების ტესტირებისთვის საჭირო იქნება მათი წარმოშობის წყაროების დადგენა და მათი სისრულის შემოწმება. შესყიდვების ოპერაციებისთვის აუცილებელია მიღებული საქონლის დოკუმენტრუნვის გამოკვლევა ბუღალტრული აღრიცხვის მთელი სისტემის მეშვეობით. თუმცა, ზოგიერთი ტიპის ხარჯებისთვის როგორცაა, მაგალითად საიჯარო ქირა, ცვეთა და ხელფასები, სისრულის დადგენა შესაძლებელია ისეთი ანალიზური პროცედურებით, როგორიცაა „საკონტროლო გამოთვლები და შედარება“.

დასკვნა

ამგვარად, თუ კარგად გაიგეთ მიზანმიმართული ტესტირების არსი და მიზნები, შეძლებთ, მისი, როგორც აუდიტორული შემოწმების ერთ-ერთი მეთოდის შეფასებას – ეს მეთოდიკა სრულად მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული, ურთიერთდაკავშირებული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების აუდიტის მიზნებს.

1-ლი სავარჯიშოს ამოხსნა – სარემონტო და ტექმომსახურების დანახარჯები

- შემცირებულია აქტივი (მაგალითად, ძირითადი საშუალება). ე.ი. ხარჯი, თავისი ბუნებით, კაპიტალური იყო და არა მიმდინარე;
- შემცირებულია სხვა ხარჯი (მაგალითად, დაზღვევის), მაგალითად, იმიტომ, რომ ბუღალტრულად არ აისახა იგი;
- გადიდებულია ვალდებულება (მაგალითად, ტექმომსახურების ხელშეკრულების სამომავლო მომსახურების ელემენტთან მიმართებით).

მე-2 სავარჯიშო ამოხსნა - ქარხნის ხელფასები

ფინანსური ანგარიშგება



მთავარი წიგნი



ხელფასები/საგადამხდელო უწყისები



ნამუშევარი დროის აღრიცხვის ბარათები

- შეუდარეთ საგადამხდელო უწყისებში ნაჩვენები დანახარჯები მთავარი წიგნის ანგარიშს/ანგარიშებს;
- შეამოწმეთ მთავარი წიგნის ანგარიშის/ანგარიშების ნაშთი/გამოთვლები (ჯამები);
- სადებეტო გატარებები (ხელფასების, საშემოსავლო გადასახადის, სოცდაზღვევის ანგარიშების) შეუდარეთ საგადამხდელო უწყისების ჯამურ თანხებს;
- შეამოწმეთ (შერჩევითი ერთობლიობისთვის) საგადამხდელო უწყისების გამოთვლები;
- საგადამხდელო უწყისებში ნაჩვენები საათობრივი ანაზღაურების განაკვეთები შეამოწმეთ თანამშრომლების პირად ჩანაწერებთან შედარების გზით;
- ნამუშევარი საათების რაოდენობა შეამოწმეთ საათობრივი აღრიცხვის ბარათების მონაცემებთან შედარების გზით;
- შეამოწმეთ ოპერაციის სანქციონირების (დამტკიცების) არსებობა.

*თავდაპირველი სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა
აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების მოდულის
საგამოცდო კომისიის წევრმა*

საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირების ტექნიკა

მოდული „ფინანსური მართვა“

ფინანსური მართვის მოდულის სახელმძღვანელოს სასწავლო პროგრამის „8“ განყოფილებაში (რისკების მართვა) საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასთან დაკავშირებით მითითებულია შემდეგი საკითხები, რომლის ცოდნაც მოეთხოვებათ კანდიდატებს ამ თემასთან დაკავშირებით:

- ა) საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის ტრადიციული და ძირითადი მეთოდების განხილვა და გამოყენება, მათ შორის:
 - (i) შეთანადება და პირობების ერთმანეთთან დაახლოება;
 - (ii) აქტივებისა და ვალდებულებების მართვა;
 - (iii) ხელშეკრულებები ფორვარდულ განაკვეთებზე.
- ბ) საპროცენტო განაკვეთების წარმოებული ინსტრუმენტების ძირითადი ტიპების განსაზღვრა, რომლებიც გამოიყენება საპროცენტო (განაკვეთის) რისკის ჰეჯირებისთვის და იმის ახსნა, როგორ გამოიყენება ისინი ჰეჯირებისას.

(გამოცდაზე ამ თემასთან დაკავშირებით რიცხობრივი კითხვები არ შეგხვდებათ).

საპროცენტო (განაკვეთის) რისკის გამომწვევი მიზეზები

კომპანიები რისკის წინაშე მაშინ აღმოჩნდებიან, როდესაც მათ არ იციან, რა უნდა მოხდეს მომავალში. მაშასადამე, აშკარად ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი, რომელიც დაკავშირებულია ბევრი კომპანიის გადანაცვრებით და საქმიანობასთან. საპროცენტო (განაკვეთის) რისკი იმ შემთხვევაში წარმოიშობა, როდესაც კომპანიამ არ იცის:

- (i) რამდენი პროცენტის გადახდა შეიძლება მოუწიოს მას ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით, რომელიც უკვე აღებული აქვს ან რომლის აღებაც დაგეგმილი აქვს; ან
- (ii) რა მოცულობის პროცენტი შეიძლება მიიღოს დეპოზიტებთან დაკავშირებით, რომელიც უკვე განთავსებული აქვს ბანკში ან რომლის განთავსებასაც გეგმავს ბანკში.

თუ კომპანიამ არ იცის, მომავალში რამდენი პროცენტი უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ის ბუსტად ვერ შეძლებს ფულადი ნაკადების პროგნოზის გამოთვლას; კომპანია ნაკლებად იქნება დარწმუნებული პროექტის შეფასებასთან მიღებული გადანაცვრების სისწორეში, ვინაიდან საპროცენტო განაკვეთებმა შეიძლება შეცვალოს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება და წმინდა მიმდინარე ღირებულების გამოთვლების შედეგი.

ცხადია ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ თუ კომპანიამ ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი სესხის აღება გადანაცვრითაა მაშინ, როდესაც საპროცენტო განაკვეთები დაბალი იყო, მაშინ საპროცენტო განაკვეთების გაზრდა შესაძლოა მიუღებელი/დამლუპველი იყოს კომპანიისთვის და შესაძლოა კომპანიის ლიკვიდაციაც კი გახდეს აუცილებელი.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ საპროცენტო (განაკვეთის) რისკის მართვის ძირითადი მიზანი (და ცხადია სავალუტო რისკის მართვის მიზანიც) არ არის იმის გარანტირება, რომ კომპანია მიიღებს ყველაზე საუკეთესო შესაძლო შედეგს, როგორც არის ყვე-

ლაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მას ოდესმე გადაუხდია. ძირითადი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მასშტაბი იმგვარად შეიზღუდოს, რომ კომპანიამ შეძლოს დაგეგმვა მაღალი სანდოობის პირობებში.

ტრადიციული და ძირითადი მიდგომები

შეთანადება და პირობების ერთმანეთთან დაახლოება

როდესაც კომპანია სესხს იღებს ან ბანკში ფულს განათავსებს, მას ხშირად აქვს არჩევანის საშუალება პროცენტის ცვლად და ფიქსირებულ განაკვეთებს შორის. ცვლად განაკვეთებს ზოგჯერ მსოფლიო საპროცენტო განაკვეთებსაც უწოდებენ და, როგორც წესი, ისინი განისაზღვრება საორიენტაციო საბაზისო განაკვეთის მიხედვით, როგორც არის მაგალითად LIBOR (ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების განაკვეთი). მაგალითად, ცვლადი საპროცენტო განაკვეთი შეიძლება განისაზღვროს ასე $LIBOR + 3\%$.

თუ კომპანიისთვის ხელმისაწვდომია ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი, მაშინ არ წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის ზრდასთან დაკავშირებით რისკი: \$2 მლნ სესხის წლიური ღირებულება, რომელსაც გააჩნია 5% ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი, კომპანიისთვის იქნება \$100,000. მართალია, ფიქსირებულ საპროცენტო-განაკვეთიანი სესხი კომპანიას დაიცავს საპროცენტო განაკვეთების ზრდის ნეგატიური გავლენისგან, მაგრამ სამაგიეროდ მას არ ექნება იმის შესაძლებლობა, რომ სარგებელი მიიღოს საპროცენტო განაკვეთების შემცირებიდან. შეიძლება კომპანია მაღალი საპროცენტო დანახარჯების „მახეში გაბმული“ აღმოჩნდეს მაშინ, როდესაც საპროცენტო განაკვეთები ეცემა და, მაშასადამე, დაკარგავს კონკურენციულ უპირატესობას.

ანალოგიურად, თუ კომპანიას ბანკში გააჩნია ფიქსირებულგანაკვეთიანი დეპოზიტი, მაშინ საპროცენტო განაკვეთების ზრდის შემთხვევაში მან შეიძლება იმედგაცრუება განიცადოს თავის შემოსავლებთან დაკავშირებით.

პირობების ერთმანეთთან დაახლოება

საპროცენტო (განაკვეთის) რისკის მართვის ამ მარტივი მიდგომის გამოყენების შემთხვევაში სესხები ან დეპოზიტები უბრალოდ დაიყოფა იმგვარად, რომ ზოგიერთი იქნება ფიქსირებულგანაკვეთიანი და ზოგიერთი – ცვლადგანაკვეთიანი. ნასესხების სახსრების მაგალითს თუ ავიღებთ, როდესაც საპროცენტო განაკვეთები იზრდება, მხოლოდ ცვლადგანაკვეთიანი სესხების ღირებულება გახდება უფრო მეტი და ეს ნაკლებ გავლენას იქონიებს კომპანიაზე იმასთან შედარებით, თუ მთელი ნასესხები სახსრები იქნებოდა ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე. ანალოგიურად არის შესაძლებელი დეპოზიტების პირობების დაახლოებაც.

არანაირი კონკრეტული თეორია არ არის ამასთან დაკავშირებული. კომპანია გაითვალისწინებს იმას, რის საშუალებაც ექნება: შეაფასებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს და თავის სესხებს ან დეპოზიტებს დაყოფს იმგვარად, როგორც თვითონ მიიჩნევს საუკეთესოდ.

შეთანადება

შეთანადების მიდგომა მოითხოვს, რომ კომპანიას აქტივები და ვალდებულებები ჰქონდეს ერთი და იმავე სახის საპროცენტო განაკვეთით. რაც უფრო ახლოს იქნება ორი თანხა, მით უკეთესია.

მაგალითად, დავუშვათ, რომ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი არის $LIBOR + 1\%$, სესხის საპროცენტო განაკვეთი – $LIBOR + 4\%$. ამასთან, დეპოზიტი შეადგენს \$500,000-ს და აღებული სესხი – \$520,000-ს.

დავუშვათ, რომ LIBOR ამჟამად არის 3% .

ამჟამად:

გადახდილი წლიური პროცენტი = $\$520,000 \times (3 + 4)/100 = \$36,400$;

მიღებული წლიური პროცენტი = $\$500,000 \times (3 + 1)/100 = \$20,000$;

წმინდა ღირებულება = $\$16,400$;

ახლა დავუშვათ, რომ LIBOR გაიზარდა 2%-ით – ანუ გახდა 5%.

პროცენტების ახალი ოდენობა:

გადახდილი წლიური პროცენტი = $\$520,000 \times (5 + 4)/100 = \$46,800$;

მიღებული წლიური პროცენტი = $\$500,000 \times (5 + 1)/100 = \$30,000$;

წმინდა ღირებულება = $\$16,800$.

როგორც ვხედავთ, გადახდილი პროცენტის ზრდა თითქმის ზუსტად გადაიფარება მიღებული პროცენტის ზრდით. დამატებითი $\$400$ დაკავშირებულია სესხისა და დეპოზიტის პირობების შეუთავსებლობასთან – $\$20,000$ დეპოზიტი $\times$ LIBOR-ის ზრდა 2%-ით = $\$20,000 \times 2/100 = \400 .

აქტივებისა და ვალდებულებების მართვა

ეს მიდგომა დაკავშირებულია იმ პერიოდებთან ან ვადებთან, რომელიც გააჩნია სესხებს (ვალდებულებებს) და დეპოზიტებს (აქტივებს). ამ შემთხვევაში პრობლემები არ შემოიფარგლება მხოლოდ ცვლად საპროცენტოგანაკვეთიანი ხელშეკრულებებით, ვინაიდან კომპანიას შეიძლება სირთულეები შეექმნას იმის გამოც, თუ ფიქსირებულ საპროცენტოგანაკვეთიანი თანხები ან შემოსავლები სხვადასხვა დროს იფარება.

მაგალითად, დავუშვათ, რომ კომპანიამ ახალი უძრავი ქონების შესაძენად აიღო 10-წლიანი იპოთეკური სესხი წლიური 6% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის პირობებში. შემდეგ კომპანიამ ეს შენობა გასცა 5-წლიანი იჯარით, რომლის შემოსავლიანობა შეადგენს წლიურ 8%-ს. ყველაფერი კარგად იქნება 5 წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ კომპანიას მოუწევს ახალი საიჯარო ხელშეკრულების დადება. თუ საიჯარო შემოსავლიანობა დაეცემა წლიური 5%-ით, კომპანია დაიწყებს ფულის დაკარგვას.

უფრო ბრძნული იქნებოდა, თუ კომპანია სესხის პერიოდს შეუსაბამებდა იჯარის პერიოდს, რათა მას სარგებელი მიეღო დაბალი საპროცენტო განაკვეთებიდან, თუ საპროცენტო განაკვეთები შემცირდებოდა.

ხელშეკრულებები ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთზე

ამგვარი ხელშეკრულებები კომპანიას ეფექტურ საშუალებას აძლევს იმისთვის, რომ მან სესხი აიღოს ან ბანკში დეპოზიტი განათავსოს ისე, თითქოს შეათანხმა განაკვეთი, რომელსაც გამოიყენებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, ეს პერიოდი შეიძლება დაიწყოს სამ თვეში და გაგრძელდეს ამის შემდეგ 9 თვე. ამგვარ ხელშეკრულებას ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთზე უწოდებენ 3 – 12 ხელშეკრულებას, ვინაიდან ის იწყება 3 თვეში და დასრულდება 12 თვის შემდეგ. მიაქციეთ ყურადღება, რომ ვადის ორივე ნაწილის განსაზღვრა იწყება მიმდინარე დროიდან.

სესხები ან დეპოზიტები შეიძლება ერთ საფინანსო დაწესებულებაში არსებობდეს, ხოლო ფორვარდული საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულება შეიძლება სრულიად სხვა საფინანსო დაწესებულებასთან იყოს დადებული, მაგრამ წმინდა შედეგმა კომპანია უნდა უზრუნველყოს მიზნობრივი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. ეს მიიღწევა თანხების კომპენსაციის მექანიზმის ხარჯზე, რომელსაც კომპანია გადაიხდის ან მიიღებს (იმისდა მიხედვით, როგორ შეიცვლება საპროცენტო განაკვეთები) საფინანსო დაწესებულებიდან, სადაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთზე.

მაგალითი:

კომპანია Nero-ს ფულადი ნაკადების პროგნოზი გვიჩვენებს, რომ მას 4 თვეში \$2 მლნ სესხის აღება მოუწევს გუდფილის ბანკიდან, სამთვიანი პერიოდით. კომპანიას აშინებს ის ფაქტი, რომ იმ დროს, როდესაც სესხს აიღებს, საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება. მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი არის 5% და კომპანიას ამ განაკვეთს სთავაზობს ჰელფი ბანკი მოთხოვნილ ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

მოგეთხოვებათ:

- 1) რა სახის ფორვარდული საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულება ესაჭიროება Nero-ს?
- 2) რამდენი იქნება კომპანიის ფულადი ნაკადები, თუ საპროცენტო განაკვეთი 6.5%-მდე გაიზარდა იმ დროისთვის, როდესაც კომპანია სესხს აიღებს?
- 3) რამდენი იქნება კომპანიის ფულადი ნაკადები, თუ საპროცენტო განაკვეთი 4%-მდე დაეცემა იმ დროისთვის, როდესაც კომპანია სესხს აიღებს?

ამოხსნა:

- (i) კომპანიას ესაჭიროება 4-7 ხელშეკრულება ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთზე, 5%-იანი.
- (ii) თუ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 6.5%-მდე:

Nero-ს მიერ გადახდილი სესხის პროცენტი გუდფილის ბანკისთვის = $\$2 \text{ მლნ} \times 6.5/100 \times 3/12 =$	(32,500)
Nero-სთვის ჰელფი ბანკის მიერ გადახდილი თანხა ფორვარდული საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულების მიხედვით = $\$2 \text{ მლნ} \times (6.5 - 5)/100 \times 3/12 =$	<u>7,500</u>
სესხის წმინდა ღირებულება Nero-სთვის	(25,000)

- (iii) თუ საპროცენტო განაკვეთი დაეცა 4%-მდე:

Nero-ს მიერ გადახდილი სესხის პროცენტი გუდფილის ბანკისთვის = $\$2 \text{ მლნ} \times 4/100 \times 3/12 =$	(20,000)
Nero-ს მიერ ჰელფი ბანკისთვის გადახდილი თანხა ფორვარდული საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულების მიხედვით = $\$2 \text{ მლნ} \times (4 - 5)/100 \times 3/12 =$	<u>5,000</u>
სესხის წმინდა ღირებულება Nero-სთვის	(25,000)

შენიშვნა:

- ა) ორივე შემთხვევაში Nero-სთვის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 5%, ხოლო ფორვარდული საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულების თანახმად შეთანხმებული განაკვეთი შეადგენს:
 $\$2 \text{ მლნ} \times 5/100 \times 3/12 = \$25,000.$

ბ) (iii) ნაწილში, როდესაც საპროცენტო განაკვეთები დაეცა, Nero-ს უდავოდ მოესურვებოდა, რომ მას დადებული არ ჰქონოდა ხელშეკრულება ფორვარდულ საპროცენტო განაკვეთზე, რათა ჰელფი ბანკისთვის გადასახდელი არ ჰქონოდა \$5,000. თუმცა, ფორვარდული საპროცენტო განაკვეთის ხელშეკრულების მიზანი ის არის, რომ კომპანია გაურკვევლობაში არ ჩავარდეს და არა ის, რომ Nero უზრუნველყოს სესხის მაქსიმალურად დაბალი ღირებულებით. მაშასადამე, მან ჰელფი ბანკს უნდა გადაუხადოს \$5,000.

საპროცენტო განაკვეთების წარმოებული ინსტრუმენტები

ამ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ საპროცენტო განაკვეთის შემდეგი სახის წარმოებულ ინსტრუმენტებს:

- (i) საპროცენტო განაკვეთის ფიუქერსული ხელშეკრულებები;
- (ii) საპროცენტო განაკვეთის ოფციონები;
- (iii) საპროცენტო განაკვეთის კეპები, ფლორები და ქოლარები;
- (iv) საპროცენტო განაკვეთის სვოპები.

ფიუნერსული ხელშეკრულებები საპროცენტო განაკვეთზე

ფიქრისულ ხელშეკრულებებს ფიქსირებული მოცულობა და ვადა აქვს. ამგვარი ხელშეკრულებები მის მფლობელს უფლებას აძლევს, პროცენტი მიიღოს დადგენილი განაკვეთით, ან ვალდებულება გადაიხადონ დადგენილი საპროცენტო განაკვეთით.

ფიზიკურსული ხელშეკრულებების გაყიდვის შედეგად წარმოიშობა სესხის აღების ვალდებულება და პროცენტის გადახდის ვალდებულება.

ფიუჩერული ხელშეკრულებების ყიდვის შედეგად წარმოიშობა ბანკში ფულის შეტანის ვალდებულება და პროცენტის მიღების უფლება.

კომპანიას საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერული ხელშეკრულებების ყიდვა და გაყიდვა შეუძლია საფონდო ბირჟაზე, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის საერთაშორისო ფიუჩერსების ბირჟა.

ფიუჩერსული ხელშეკრულებების ფასი დამოკიდებულია დომინირებულ საპროცენტო განაკვეთზე და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გაცნობიერებას, რომ როდესაც საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფიუჩერსული ხელშეკრულებების საბაზრო ფასი ეცემა.

ახლა კარგად გავიზროთ ეს ნათქვამი: დავუშვათ, რომ კონკრეტული ფიუჩერსული ხელშეკრულება მსესხებელსა და გამსესხებელს საშუალებას აძლევს, გადაიხადონ ან მიიღონ პროცენტები 5%-ის განაკვეთით, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთს. ახლა დავუშვათ, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთები იზრდება 6%-მდე. 5%-იანი ფიუჩერსული ხელშეკრულება ნაკლებად მიმზიდველი გახდება საყიდლად, ვინაიდან დეპოზიტორებს შეუძლიათ 6%-ის მიღება საბაზრო განაკვეთის მიხედვით, მაგრამ ფიუჩერსული ხელშეკრულების მიხედვით – მხოლოდ 5%-ს მიიღებენ. ამ შემთხვევაში ფიუჩერსული ხელშეკრულების ფასი უნდა დაეცეს.

ანალოგიურად, მსესხებლებს ახლა უწევთ 6%-ის გადახდა, მაგრამ თუ ისინი ფიქერ-სულ ხელშეკრულებებს გაყიდიან, მაშინ მათ გადასახდელი ექნებათ მხოლოდ 5%. ამგვარად, ბაზარზე იქნება ბევრი გამყიდველი და ეს სიტუაცია შეამცირებს გასაყიდ ფასს მანამდე, სანამ არ მიიღწევა მყიდველისა და გამყიდველის დაბალანსებული ფასი.

საპროცენტო განაკვეთების ზრდა იწვევს ფიუჩერსული ხელშეკრულებების ფასების შემცირებას.

საპროცენტო განაკვეთების შემცირება იწვევს ფიზიკურსული ხელშეკრულებების ფასების გაზრდას.

პრაქტიკაში, ფიზიკურსული ხელშეკრულებების ფასის ცვალებადობა ზუსტად არ არის შესაბამისობაში საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობასთან, მაშასადამე, ამ მექანიზმს გარკვეული ხარვეზები ახასიათებს. ამას უწოდებენ **ბაზისურ (საბაზისო) რისკს**.

მდგომარეობა, რომელიც გამოიყენება ფიზიკურსული ხელშეკრულებების მიმართ საპროცენტო განაკვეთების ჰეჯირების მიზნით, დამოკიდებულია ორ პარალელურ ოპერაციაზე.

სესხი/დეპოზიტი საბაზრო განაკვეთებით

ფიზიკურსული ხელშეკრულებების ყიდვა და გაყიდვა იმგვარად, რომ ფიზიკურსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულმა მოგებამ ან ზარალმა აანაზღაუროს პროცენტის გადახდასთან დაკავშირებული ზარალი ან შემოსულობა.

ამგვარად, სესხის აღება ან დეპოზიტზე ფულის შენახვა დაცულია შემდეგნაირად:

ბანკში ფულის განთავსება და პროცენტის მიღება

დეპოზიტორებს ეშინიათ, რომ საპროცენტო განაკვეთები დაეცემა და შემცირდება მათი შემოსავალი.

თუ საპროცენტო განაკვეთები ეცემა, ფიზიკურსული ხელშეკრულებების ფასები იზრდება, მაშასადამე, ახლა ფიზიკურსული ხელშეკრულებები უნდა **ვიყიდოთ** (შედარებით დაბალ ფასად) და **გავყიდოთ** მოგვიანებით (შედარებით მაღალ ფასად). ფიზიკურსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსულობა შეიძლება გამოვიყენოთ მიღებული დაბალი პროცენტის გადასაფარად/კომპენსაციისთვის.

ცხადია, თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, დეპოზიტიდან უფრო მეტ ფულს მივიღებთ, მაგრამ ზარალს მივიღებთ ფიზიკურსული ხელშეკრულებებიდან (ყიდვა შედარებით მაღალ ფასად და შემდეგ გაყიდვა უფრო დაბალ ფასად).

როგორც ფორვარდული საპროცენტო განაკვეთების ხელშეკრულებების შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც მიზანი საუკეთესო შესაძლო შედეგის მიღება კი არ არის, არამედ ისეთი შედეგის მიღება, რომლის დროსაც მიღებულ პროცენტს პლუს ფიზიკურსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი სტაბილურია.

სესხის აღება და პროცენტის გადახდა

მსესხებელს ეშინია, რომ საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება და გაიზრდება მისი ხარჯიც.

თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფიზიკურსული ხელშეკრულებების ფასები დაეცემა, მაშასადამე, ახლა უნდა **გავყიდოთ** ფიზიკურსული ხელშეკრულებები (შედარებით მაღალ ფასად) და ვიყიდოთ მოგვიანებით (შედარებით დაბალ ფასად). ფიზიკურსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსულობა შეგვიძლია გამოვიყენოთ მიღებული დაბალი პროცენტის გადასაფარად/კომპენსაციისთვის.

კანდიდატებს ხშირად კარგად არ ესმით, როგორ შეიძლება რალაციის გაყიდვა მანამდე, სანამ მას იყიდით. მარტივად დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ არ გინევთ ხელშეკრულების გადაცემა მაშინ, როდესაც ყიდით მას: ეს ის ხელშეკრულებაა, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს და ხელშეკრულების შესრულება შესაძლებელია მისი ყიდვით მომავალში.

ცხადია, თუ საპროცენტო განაკვეთები ეცემა, სესხის ღირებულება უფრო ნაკლები იქნება, მაგრამ კომპანია ზარალს მიიღებს ფიზიკურსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით (გაყიდება შედარებით დაბალ ფასად და შემდეგ იყიდით უფრო მაღალ ფასად).

ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც მიზანი მთლიანი ფულადი ნაკადების სტაბილურობის უზრუნველყოფაა.

დასკვნა

ახლა შევაჯამოთ საპროცენტო განაკვეთის ფიქერსული ხელშეკრულებებით საპროცენტო რისკის ჰეჯირების წესი:

დეპოზიტისთვის: იყიდე ფიქერსული ხელშეკრულებები, შემდეგ გაყიდე.

სესხებისთვის: გაყიდე ფიქერსული ხელშეკრულებები, შემდეგ იყიდე.

საპროცენტო განაკვეთების ოფციონები

საპროცენტო განაკვეთების ოფციონის ხელშეკრულებები კომპანიას საშუალებას აძლევს, თავი დაიცვას საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვალებადობისგან, რადგან კომპანიას საშუალება ეძლევა, სარგებელი მიიღოს საპროცენტო განაკვეთების ხელსაყრელი ცვლილებებიდან. საპროცენტო განაკვეთის ოფციონებს სხვანაირად საპროცენტო განაკვეთის გარანტიებსაც უწოდებენ.

ოფციონები ჰგავს სადაზღვევო პოლისებს:

თქვენ იხდით პრემიას თავის დასაცავად. გადახდილი პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, იმის მიუხედავად, თქვენ გამოიყენებთ თუ არა დაცვას.

თუ საპროცენტო განაკვეთები არახელსაყრელი მიმართულებით იცვლება, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ დაზღვევა.

თუ საპროცენტო განაკვეთები ხელსაყრელი მიმართულებით მოძრაობს, თქვენ უგულებელყოფთ დაზღვევას.

ოფციონების გამოყენება შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთების ფიქერსულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და ამგვარი ოფციონის ხელშეკრულება მის მფლობელს უფლებას ანიჭებს (და არა ვალდებულებას), იყიდოს ან გაყიდოს ფიქერსული ხელშეკრულებები შეთანხმებულ ფასად, შეთანხმებული თარიღისთვის.

ოფციონების გამოყენება სესხის აღებისას

როგორც უკვე განვმარტეთ, მარტივი ფიქერსული ხელშეკრულებების გამოყენებისას, კომპანია ფიქერსულ ხელშეკრულებებს გაყიდის ახლა და იყიდის მოგვიანებით.

ოფციონების გამოყენების დროს მსესხებელი იღებს ოფციონს, ფიქერსული ხელშეკრულებები გაყიდოს დღევანდელი ფასით (ან რაიმე შეთანხმებულ ფასად). დავუშვათ, რომ ფასი არის 95. გაყიდვის ოფციონს უწოდებენ **ფუთოფციონს** (წარმოიდგინეთ, რომ რაღაც გაგაქვთ გასაყიდად).

თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფიქერსული ხელშეკრულებების ფასი დაეცემა, ვთქვათ 93-მდე. ამგვარად, მსესხებელი ხელშეკრულებას იყიდის 93-ად და შემდეგ გადანყვეტს, რომ **აღასრულებს** ოფციონს თავისი უფლების გამოყენებით – გაყიდოს 95-ად. ოფციონებთან დაკავშირებული შემოსულობა გამოიყენება დამატებითი პროცენტის კომპენსირებისთვის, რომელიც გადასახდელი ექნება კომპანიას.

თუ საპროცენტო განაკვეთები ეცემა, ფიქერსული ხელშეკრულებების ფასი გაიზრდება, ვთქვათ 97-მდე. ამგვარად, მსესხებელი არ იყიდის მას 97-ად, არამედ შემდეგ აღასრულებს 95-ად გაყიდვის ოფციონს. ასე, რომ ოფციონი **ფიქერსულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საშუალებას** იძლევა და კომპანია მარტივად მიიღებს სარგებელს დაბალი საპროცენტო განაკვეთიდან.

ოფციონების გამოყენება დეპოზიტებთან დაკავშირებით

როგორც უკვე განვმარტეთ, მარტივი ფიუჩერული ხელშეკრულებების გამოყენებისას, კომპანიამ ფიუჩერული ხელშეკრულებები უნდა გაყიდოს ახლა და იყიდოს მოგვიანებით.

ოფციონების გამოყენების შემთხვევაში ინვესტორი იღებს ფიუჩერული ხელშეკრულებების ყიდვის ოფციონს დღევანდელი ფასით (ან რაიმე შეთანხმებული ფასით). დავუშვათ, რომ ეს ფასი არის 95. ყიდვის ოფციონს უწოდებენ **ქოლ** ოფციონს.

თუ საპროცენტო განაკვეთები ეცემა, ფიუჩერული ხელშეკრულებების ფასი გაიზრდება, ვთქვათ, 97-მდე. ამგვარად, ინვესტორი ხელშეკრულებას გაყიდის 97-ად და შემდეგ **აღასრულებს** 95-ად ყიდვის ოფციონს. ოფციონთან დაკავშირებული შემოსულობის გამოყენება შესაძლებელია მიღებული დაბალი პროცენტების გადასაფარად/კომპენსირებისთვის.

თუ საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფიუჩერული ხელშეკრულების ფასი დაეცემა, ვთქვათ 93-მდე. ამგვარად, რომ ინვესტორი არ გაყიდის ფიუჩერულ ხელშეკრულებას 93-ად და ოფციონს აღასრულებს 95-ად გაყიდვის უფლების გამოყენებით. ოფციონი **ფიუჩერულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის** საშუალებას იძლევა და ინვესტორი იღებს დამატებით შემოსავალს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების ხარჯზე.

ამგვარად, ოფციონები მსესხებელს და გამსესხებელს უქმნის გარანტიას, მიიღოს მინიმალური შემოსავალი ან გასწიოს მაქსიმალური დანახარჯები, მაგრამ იმავდროულად შენარჩუნდება მაღალი შემოსავლის მიღების ან დაბალი დანახარჯების გაწევის შესაძლებლობა. ეს შეღავათები მოკლედ ასე შეიძლება გამოვხატოთ: „რასაც მე ვიგებ, შენ კარგავ“ და უნდა გადაიხადო, ხოლო არადაბრუნებადი **პრემია** წინასწარ არის გადასახდელი იმისთვის, რომ ოფციონები შევიძინოთ.

საპროცენტო განაკვეთების კეპები, ფლორები და ქოლარები.

საპროცენტო განაკვეთის კეპი:

კეპი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის ოფციონების გამოყენებას მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის დასაწესებლად მსესხებლებისთვის. თუ ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალია, შესაძლებელია ოფციონის გაუქმება/უარის თქმა.

საპროცენტო განაკვეთის ფლორები:

ფლორი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის ოფციონების გამოყენებას ინვესტორებისთვის მინიმალური საპროცენტო განაკვეთის დასაწესებლად. თუ ფაქტობრივი საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ინვესტორი გააუქმებს/უგულებელყოფს ოფციონს.

საპროცენტო განაკვეთის ქოლარი:

ქოლარი გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის ოფციონების გამოყენებას გადახდილი ან მიღებული პროცენტების შესაბამისად წინასწარ დადგენილი დიაპაზონის ფარგლებში. **მსესხებელი** იყიდის კეპს და გაყიდის ფლორს და, ამგვარად, კეპის ყიდვის დანახარჯი გადაიფარება ფლორის გაყიდვით მიღებული პრემიით. **დეპოზიტორი** იყიდის ფლორს და გაყიდის კეპს.

საპროცენტო განაკვეთის სვოპები

სვოპის ხელშეკრულებები საპროცენტო განაკვეთზე კომპანიას საშუალებას აძლევს, გადასახდელი პროცენტები შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში გადაცვალოს შეთანხმებულ პირობით თანხაზე. სვოპის ხელშეკრულებების გამოყენება შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვლილების პეჯირებისთვის ან სასურველი ბალანსის მისაღწევად ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთების მქონე სავალო ვალდებულებებს შორის.

საპროცენტო განაკვეთის სვოპები ხელშეკრულების ორივე მხარეს საშუალებას აძლევს, სარგებელი მიიღონ საპროცენტო გადახდების გაცვლით – სესხებზე მოიპოვონ იმაზე უფრო ხელსაყრელი განაკვეთები, ვიდრე ბანკი სთავაზობს.

საპროცენტო განაკვეთის სვოპის ხელშეკრულებებს დებენ ფინანსური საშუამავლო დაწესებულებები, როგორიც არის ბანკი. ასე, რომ ხელშეკრულების მხარეები შეიძლება ვერასდროს შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა თავდაპირველი პროცენტების გადახდის ვალდებულება ისევ თავდაპირველი მსესხებლის შესასრულებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვალდებულებას ვერ შეასრულებს. თუმცა, კონტრაქტთან დაკავშირებული ამგვარი რისკი შემცირდება ან აღმოიფხვრება იმ შემთხვევაში, თუ საფინანსო დაწესებულება დადებს სვოპის ხელშეკრულებას.

ყველაზე ტიპური სვოპის ხელშეკრულებები ითვალისწინებს ფიქსირებული საპროცენტო გადახდების ნაკადის გაცვლას ცვლადი საპროცენტო გადახდების ნაკადზე, როდესაც პირობითი ძირი თანხა არ იცვლება და პირიქით. ამგვარ ხელშეკრულებას უწოდებენ მარტივ საპროცენტო სვოპს.

საპროცენტო განაკვეთის სვოპები კომპანიას საშუალებას აძლევს, იმაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდით განახორციელოს პეჯირება, ვიდრე საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ინსტრუმენტებით არის შესაძლებელი, მაგრამ კომპანიას საშუალებას არ აძლევს, სარგებელი მიიღოს საპროცენტო განაკვეთების ხელსაყრელი ცვალებადობიდან.

სვოპის მეორე ფორმაა სავალუტო სვოპი, რომელიც ასევე საპროცენტო განაკვეთის სვოპია. სავალუტო სვოპები გამოიყენება სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული ტოლი მოცულობის სესხების ანუ პროცენტის გადახდებისა და ძირითადი (ძირი) თანხის გადახდების გასაცვლელად, შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. მათი გამოყენება შეიძლება სხვა ვალუტაში გადაანგარიშების რისკის აღმოსაფხვრელად, რომელიც დაკავშირებულია უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან. ამის მაგალითია სვოპის ხელშეკრულება, რომლის მეშვეობით დოლარებში აღებული ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი იცვლება ფიქსირებულგანაკვეთიან სესხზე, რომელიც გამოსახულია ევროში.

*სტატია მოამზადა ფინანსური მართვის მოდულის
საგამოცდო კომისიის წევრმა*

ეკონომიკურ ანგარიშში ინფლაციისა და ვარდნის შიში აისახება



ACCA-სა და IMA-ს ეკონომიკური მდგომარეობის უახლესი კვლევა ხაზს უსვამს არასტაბილურ ბიზნესგარემოს.

ACCA და IMA®-ს გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის კვლევის (GECS) უახლესი გამოცემის თანახმად, ბიზნესების თითქმის სამი მეოთხედი ებრძვის გაზრდილ ხარჯებს, ხოლო მინიმუმ ერთი მესამედი ღელავს შემცირებული შემოსავლების გამო. რესპონდენტთა ანალოგიური რაოდენობა (1/3) ასახელებს სავალუტო კურსის ცვალებადობასა და რეცესიის ნიშნებს.

ორმა განვითარებამ კიდევ უფრო ხაზი გაუსვა კომერციული გარემოს არასტაბილურ ბუნებას. პირველ რიგში, გაიზარდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ „დროული გადახდების

განხორციელების პრობლემა“ შეექმნათ, რაც უმაღლეს დონემდე გაიზარდა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს პირველი ნიშანი იმისა, რომ იზრდება იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც განიცდიან ფულადი სახსრების მოძრაობის სირთულეებს. ამავდროულად, შესამჩნევად გაიზარდა იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც აფიქსირებენ „ფინანსირებაზე წვდომის პრობლემებს“. 40 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის ყველაზე აგრესიული გამკაცრება, სავარაუდოდ, კორპორატიულ ლიკვიდობას მნიშვნელოვნად დააზარალებს.

მონაცემები ასევე აჩვენებს დაბალ ნდობას ეკონომიკური პერსპექტივის მიმართ, რომელიც რჩება გასული ათწლეულის მედიანურ მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბლა. რაც შეეხება დანარჩენ სამ ინ-

დიკატორს, რომლებიც უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ აქტივობასთან - ახალი შეკვეთები, კაპიტალური დანახარჯები და დასაქმება - ყველა მიმართულებით გაუარესება შეიმჩნევა. მთლიანობაში, მაჩვენებლები შეესაბამება გლობალურ ეკონომიკური ზრდის შენელებას წლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, ინფლაციური ზეწოლის ზრდასთან ერთად.


ერთ-ერთი მთავარი რისკი უახლოეს პერიოდში იქნება ის, თუ რამდენად პროაქტიულად და სწრაფად შეეცდებიან ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრებას მომდევნო თვეებში ინფლაციური ზეწოლის შესამცირებლად და შეიძლება თუ არა გლობალური ეკონომიკა შენელდეს იმაზე მეტად, ვიდრე ამას ბიზნესლიდერები ელიან 2023 წელს.“

ACCA-ს უნარების, სექტორებისა და ტექნოლოგიების ხელმძღვანელის ჯიმი ლიონის განცხადებით:

„ჩვენ მიერ უახლესი გლობალური ეკონომიკური პირობების კვლევა მიუთითებს გლობალურ ეკონომიკაში არსებულ აშკარა გამოწვევებზე, რაც ასახავს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდგომ ეკონომიკურ ეფექტსა და მის შედეგად რიგი იურისდიქციებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასა და ცხოვრების ხარჯების კრიზისს.

IMA-ს კვლევისა და აზროვნების ხელმძღვანელობის ვიცე-პრეზიდენტმა ლორეალ ჯაილსმა კი დასძინა: „მსოფლიოს უმეტეს რეგიონებში GECS კვლევა მიუთითებს ბიზნესშეკვეთების შემცირებაზე, როგორც წინა კვარტალთან, ისე - გასულ წლებთან შედარებით. ინფლაციურ ზეწოლასთან ერთად, ეს ბიზნესისთვის რთულ პერიოდს გვთავაზობს მომდევნო თვეების განმავლობაში.“

წყარო: accaglobal.com



გაუმჯობესების მიუხედავად, სკეფსისი და მიკერძოება კვლავ აუდიტის უმთავრეს პრობლემად რჩება



ACCA-სა და HAASOB-ის ერთობლივი კვლევა მიმოიხილავს ინსპექტირების შედეგებს, რათა შეაფასოს, თუ როგორ ავლენენ აუდიტორები პროფესიულ სკეპტიციზმს და შორს დგანან მიკერძოებისგან სამუშაო პროცესში.

პროფესიული სკეპტიციზმი განსაზღვრულია აუდიტის სტანდარტით - ISA 200, როგორც აუდიტორი, რომელიც ყურადღებიანია ისეთი გარემოებების მიმართ, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს შეცდომებსა და თაღლითობაზე ანგარიშგებასა და ანგარიშებში და რომელიც კრიტიკულად აფასებს აუდიტის მტკიცებულებებს.

პროფესიონალური სკეპტიციზმი რჩება აუდიტის პროფესიის მთავარ აქცენტად - სკეპტიციზმის ნაკლებობის აღმოჩენა განმეორებადი შემთხვევაა აუდიტის ინსპექტირებისას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მიმართულებით აუდიტის სტანდარტების გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი სამუშაოს და კოგნიტური მიკერძოების რისკების

გააზრების მიუხედავად, ეს ერთობლივი ანგარიში ასკვნის, რომ აუდიტორებმა უნდა გააგრძელონ პროფესიული სკეპტიციზმისადმი მიდგომის გაუმჯობესება, სწორი რესურსებისა და აუდიტის სტანდარტების სრულად გამოყენების გზით.

აუდიტორულ სამუშაოებში სათანადო დონის სკეპტიციზმის გამოვლენის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, აუდიტორები აცნობიერებდნენ კოგნიტური მიკერძოების შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ კოგნიტური მიკერძოებით შესაძლოა აიხსნას აუდიტორების მიერ არასათანადო პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლინება, ეს არ არის ერთადერთი მიზეზი; პროფესიულ სკეპტიციზმზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, როგორიცაა აუდიტის კლიენტის დაკარგვის შიში,.

ავტორიტეტის მიკერძოებულობას - მიდრეკილებას, მეტად ენდო ავტორიტეტული ფიგურის მოსაზრებას - შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა აუდიტის ხარის-

ხზე თუკი გავითვალისწინებთ ექსპერტების ფართო და მზარდი გამოყენებას აუდიტის პროცესში, განსაკუთრებით - სპეციალიზებულ სექტორებში და მდგრადობის უზრუნველყოფის სამუშაოებში.

ეს შეხედულებები და დასკვნები პროფესიული სკეპტიციზმისა და კოგნიტური მიკერძოების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ, აუდიტსა და მარწმუნებელ საქმიანობაში, გამომდინარეობს ACCA-ს (დამოწმებული სერტიფიცირებული ბუღალტერთა ასოციაციის) და HAASOB-ის (საბერძნეთის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ზედამხედველობის საბჭოს) მიერ ჩატარებული კვლევებიდან. მოხსენება ხაზს უსვამს პროფესიული სკეპტიციზმის სასიცოცხლო მნიშვნელობას და აქცენტს აკეთებს აუდიტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ შემეცნებითი მიკერძოების გავლენის აღიარების აუცილებლობაზე.

თავის კონცეპტუალურ ჩარჩოში, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IESBA) აღიარებს, რომ „ცნობიერი ან არაცნობიერი მიკერძოება გავლენას ახდენს პროფესიული განსჯის განხორციელებაზე ფუნდამენტურ პრინციპებთან შესაბამისობის საშიშროების იდენტიფიცირების, შეფასების და მიმართვისას“.

ACCA-ს პოლიტიკისა და შეხედულებების დირექტორის მაიკ საფილდის განცხადებით: „ამჟამად აუდიტის პროფესია განიცდის გლობალურ რეფორმატულ ცვლილებებს, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებაა. პროფესიული სკეპტიციზმის სათანადო დონის გამოყენება მაღალი ხარისხის აუდიტის განუყოფელი ნაწილია.“

HAASOB-ს თავმჯდომარის მოადგილის, პანაიოტის იანოპულუსის თქმით: „ამ ანგარიშში HAASOB-მა და ACCA-მ ჩამოაყალიბეს რამდენიმე განმეორებადი

საკითხი, რომლებიც ხშირად ხაზგასმულია აუდიტის ინსპექტირების ანგარიშებში და უკავშირდება აუდიტორების მუშაობას პროფესიული განსჯისა და პროფესიული სკეპტიციზმის კუთხით.“

კვლევა საბერძნეთში ჩატარებული ინსპექტირების შედეგებზე დაფუძნებულ მაგალითებს იყენებს. იგი განიხილავს, თუ როგორ შეიძლებოდა კოგნიტური მიკერძოების გავლენის ამოცნობას მოჰყოლოდა პროფესიული სკეპტიციზმის უფრო მძლავრი გამოყენება. ანგარიში ასევე ხაზს უსვამს ფირმების შესაძლებლობას, გააძლიერონ აუდიტის მეთოდოლოგია, განგრძობითი სწავლება და საერთო კორპორაციული კულტურა ამ განმეორებადი საკითხების გადასაღებად.

ანგარიში ხაზს უსვამს საერთაშორისო სტანდარტების დადგენის პროცესის გაუმჯობესების მნიშვნელობას, პროფესიულ სკეპტიციზმისა და კოგნიტური მიკერძოების კუთხით, ამასთან, ასევე აღნიშნავს ზოგიერთ ეროვნულ გაუმჯობესებას ამ მიმართულებით. იგი ასევე განიხილავს დიდ ბრიტანეთში აუდიტის რეფორმის მიმოხილვაში შემოთავაზებულ გაუმჯობესების გზებს, ისევე როგორც სხვა პუბლიკაციებს, რომლებიც ორი ორგანიზაციის მოსაზრებით გლობალურ ინტერესს წარმოადგენს.

ანგარიშის ავტორი, **აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის პოლიტიკის მიმართულებით ACCA-ს ხელმძღვანელი ანტონის დიოლასი** ამბობს: „სტანდარტებისა და პოლიტიკის დამდგენლებმა მხედველობაში მიიღეს კოგნიტური მიკერძოება და ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია აუდიტორების მიერ პროფესიული სკეპტიციზმის სათანადო დონეზე გამოვლენის მიმართულებით. ახლა აუდიტორმა ფირმებმა უნდა შეასრულონ თავისი როლი“.

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 27/09/2022
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017623

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №329
2022 წლის 26 სექტემბერი ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 58-ე მუხლის მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹ და 92 პუნქტები:

„9¹. ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებით მიწოდებისას გამოწერილი ელექტრონული ფორმის ნსაფ-ის გაუქმება შესაძლებელია მყიდველის (მიმღების) მიერ ნსაფ-ის დადასტურების შემთხვევაში ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების დაწყებამდე.

9². ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირების გარეშე მიწოდებისას გამოწერილი ელექტრონული ფორმის ნსაფ-ი უქმდება საგადასახადო ორგანოს მიერ, როგორც გამყიდველის (გამგზავნის), ისე მყიდველის (მიმღების) ერთდროულად მიმართვის შემთხვევაში.“.

2. 59-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დაუშვებელია არასწორად შევსებული ნსაფ-ის გადაცემა მყიდველისათვის (მიმღებისათვის). გაუქმების მიზნით, არასწორად შევსებული ნსაფ-ების (გარდა ელექტრონული ფორმის ნსაფ-ისა) ყველა ეგზემპლარი გადასახადის გადამხდელის მიერ წარედგინება საგადასახადო ორგანოს, ამ ორგანოდან ნსაფ-ების შემდგომი გატანისას, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა.“.

მუხლი 2.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №336
2022 წლის 29 სექტემბერი ქ. თბილისი

**„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების
ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანებაში (სსმ III, №41, 08/04/2005, სარეგისტრაციო კოდი: 190.040.000.22.033.007.224) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი – მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ბრძანებაში გამოყენებულ ტერმინებს, ამ ბრძანების მიზნებისთვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მივლინება – დამქირავებლის ბრძანებით ან/და დავალებით დაქირავებულის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე ქვეყნის ფარგლების გარეთ. ქვეყნის ფარგლების გარეთ მივლინება შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი;

ბ) გრძელვადიანი მივლინება – ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებულის გაგზავნა 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;

გ) მოკლევადიანი მივლინება – ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებულის გაგზავნა 30 ან ნაკლები კალენდარული დღის ვადით;

